# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

# „გზა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ბათუმი

2022

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გზა“

სარჩევი


ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და მართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე ..... 3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... 4
კონსოლიდირებული მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 7
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ..... 8
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება ..... 9
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ..... 10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები ..... 11-43

1. ზოგადი ინფორმაცია ..... 11
2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი ..... 11
3. სააღრიცხვო პოლიტიკა ..... 13
4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები ..... 19
5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები ..... 20
6. ამონაგები ..... 27
7. გაწეული მომსახურების თვითღირებულება ..... 28
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები ..... 28
9. არარეგულარული ხარჯები ..... 28
10. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში ..... 29
11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ..... 30
12. საინვესტიციო ქონება ..... 32
13. მარაგი ..... 32
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ..... 33
15. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ..... 34
16. სესხები ..... 35
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ..... 38
18. პირობითი ვალდებულებები ..... 38
19. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები ..... 38
20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები ..... 40
21. გუდვილი ..... 41
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები ..... 43
23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება ..... 43

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გზა“**

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების და მართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „გზის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- ჯგუფის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

**ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.
- აგრეთვე მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვდენილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 1 ოქტომბერს.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

_____

**მალხაზ დუმბაძე**

**დირექტორი**

2022 წლის 1 ოქტომბერი.

ბათუმი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გზა“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

## მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “გზა“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“)კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს “გზა“-ს კონსოლიდირებული ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

## მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „გზისაგან“ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსსის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

## სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

## ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს "გზა"-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს "გზა"-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასსების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასსების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს ,,გზა“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს ,,გზა“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება „გზა“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნაგანმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს “გზა“-ს ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

## დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;

- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

შპს „ინტელექტაუდიტის“ სახელით (რეგ. №SARASF583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. SARAS-A-516713)

1 ოქტომბერი 2022 წელი

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"**
**კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

| | შენიშვნები | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 6 | 25,888,132 | 49,536,855 |
| გაწეული მომსახურების თვითღირებულება | 7 | (28,340,506) | (42,400,715) |
| **საერთო მოგება** | | **(2,452,374)** | **7,136,140** |
| საოჯარო შემოსავლები | 6 | 266,645 | 229,827 |
| ქონების ექსპლუატაციის ხარჯები | 7 | (271,574) | (272,176) |
| **წმინდა საოჯარო შემოსავალი** | | **(4,929)** | **(42,349)** |
| **სხვა შემოსავალი** | 6 | 1,132,089 | 836,028 |
| მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები | | (144,707) | - |
| სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | 8 | (816,043) | (630,419) |
| არარეგულარული ხარჯები | 9 | (262,624) | (340,589) |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება** | | **(2,548,587)** | **6,958,811** |
| ფინანსური შემოსავალი | 16 | 315,340 | 46,373 |
| ფინანსური ხარჯი | 16 | (1,556,498) | (1,322,399) |
| მოგება ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან | | 10,322 | 14,984 |
| რისკიანი მოთხოვნების ხარჯი | 14 | (618,806) | (127,579) |
| წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში | 10 | (799,942) | 352,002 |
| მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან | | 1,295,233 | (2,241,169) |
| **მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | **(3,902,939)** | **3,681,023** |
| მოგების გადასახადი | | (198,245) | (519,752) |
| **გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის** | | **(4,101,184)** | **3,161,271** |
| | | | |
| **სათაო საწარმოს წილი** | | **(4,110,013)** | **4,857,179** |
| **არამაკონტროლებელი წილი** | | **8,829** | **(1,708,859)** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"**
**კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

| | შენიშვნები | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები | **11** | 16,899,592 | 17,789,907 |
| არამატერიალური აქტივი | **11** | 6,104 | 6,041 |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში | **10** | | 352,017 |
| საინვესტიციო ქონება | **12** | 16,500,588 | 16,628,055 |
| გუდვილი | **21** | 271,034 | 271,034 |
| გაცემული გრძელვადიანი სესხები | **16** | - | 1,996,000 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **33,677,317** | **37,043,054** |
| **მიმდინარე აქტივები** | | | |
| მარაგები | **13** | 8,782,038 | 8,668,489 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | **14** | 15,941,191 | 14,287,083 |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები | **15** | 65,888 | 1,336,540 |
| გაცემული გრძელვადიანი სესხების მიმდინარე წილი | **16** | 4,706,514 | 46,373 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | 135,195 | 117,872 |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | **29,630,826** | **24,456,357** |
| **სულ აქტივები:** | | **63,308,143** | **61,499,410** |
| **საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | | |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 686,082 | 61,087 |
| გაუნაწილებელი მოგება_ზარალი | | 20,604,189 | 25,819,465 |
| **მთლიანი კაპიტალი** | | **21,290,271** | **25,880,552** |
| არა მაკონტროლებელი პაკეტის მფლობელები | | 3,108,198 | 3,099,369 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **24,398,469** | **28,979,922** |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | |
| მიღებული გრძელვადიანი სესხები | **16** | 16,911,545 | 20,112,730 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **16,911,545** | **20,112,730** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | **17** | 9,471,485 | 7,878,937 |
| მიღებული გრძელვადიანი სესხების მიმდინარე წილი | **16** | 10,566,915 | 1,985,167 |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში | **10** | 447,926 | - |
| თანამშრომელთა ვალდებულებები | **17** | 483,393 | 392,914 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | 1,028,411 | 2,149,739 |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **21,998,130** | **12,406,758** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | **63,308,143** | **61,499,410** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ზესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ”გზა”**
**კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*(ქართულ ლარში)*

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება-ზარალი | არამაკონტროლებელი წილი | სულ |
|---|---|---|---|---|
| **31.12.2019 ნაშთი** | **46,672** | **23,907,549** | **4,808,228** | **28,762,449** |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება | 14,415 | - | | **14,415** |
| დივიდენდის განაწილება | - | (2,945,263) | | **(2,945,263)** |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი | - | 4,857,179 | (1,708,859) | **3,148,321** |
| **31.12.2020 ნაშთი** | **61,087** | **25,819,465** | **3,099,369** | **28,979,922** |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება | 624,995 | - | | **624,995** |
| დივიდენდის განაწილება | - | (1,105,263) | | **(1,105,263)** |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი | - | (4,110,013) | 8,829 | **(4,101,184)** |
| **31.12.2021 ნაშთი** | **686,082** | **20,604,189** | **3,108,198** | **24,398,469** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ზესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ”გზა”**
**კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები | 33,178,160 | 60,985,661 |
| საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები | (25,054,701) | (36,144,314) |
| დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები | (6,728,333) | (7,877,618) |
| გადახდილი გადასახადები | (4,803,438) | (6,775,806) |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | **(3,408,312)** | **10,187,923** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები | (1,008,390) | (2,697,159) |
| ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები | 153,000 | 18,945 |
| **საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | **(855,390)** | **(2,678,214)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | |
| სესხის აღება | 10,228,084 | 10,718,837 |
| გადახდილი სესხები | (4,337,871) | (12,235,073) |
| სესხის გაცემა | (2,358,759) | (1,996,000) |
| დამფუძნებლის მიერ კაპიტალის ზრდა/შემცირება | 618,597 | 114,400 |
| დივიდენდის განაწილება | (1,050,000) | (2,798,000) |
| უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი | (107,001) | (191,705) |
| **საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | **2,993,050** | **(6,387,542)** |
| **ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)** | **(1,270,652)** | **1,122,167** |
| **ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის** | **1,336,540** | **214,373** |
| **ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის** | **65,888** | **1,336,540** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ”გზა”**
**ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ,,გზა” წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში. რეგისტრირებულია ბათუმის რ-ნის სასამართლო მიერ 03.02.2005 წ. მისამართი ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ., №51, ბინა 1. საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი 245525132.

შპს ,,გზა”-ს ძირითადი საქმიანობაა გზების და ავტობანების მშენებლობა; სხვა საინჟინრო მოწყობილობების დაყენება.

შპს ,,გზა”-ს პარტნიორია ფიზიკური პირი - გიორგი ჭყონია (პ/ნ 61001002082) (100%). საწარმოს ჰყავს შვილობილი საწარმო შპს ბათუმი ცენტრალი (ს/ნ 445386172), რომელშიც მაკონტროლებელი წილი 55% შეიძინა 2019 წლის 6 მაისს.

2020 წლის 08 ივნისს შპს ,,ბათუმი ცენტრალი“-მა დააფუძნა შპს ,,თაუერ ჯგუფი“ (ს/ნ 445580666) 100%-იანი წილის მფლობელობით.

შპს ,,თაუერ ჯგუფი“-მა უნდა განახორციელოს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ბინების მშენებლობა, შპს ბათუმი ცენტრალიდან საწესდებო კაპიტალში შეტანილ მიწის ნაკვეთზე, მისამათი საქართველო, ბათუმი ოდისეი დიმიტრიადის ქ#3-ში.

შპს ბათუმი ცენტრალის ძირითადი საქმიანობაა: არასაცხოვრებელი (კომერციული) ფართების გაქირავება (საიჯარო მომსახურების გაწევა), იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, ბათუმი ოდისეი დიმიტრიადის ქ#3. საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი 445386172.

ჯგუფი ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, ჯგუფის სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შპს „გზა“ ფლობს შპს ,,ჯივი პფაიფერ-გზა“-ს 33%, ასევე 2020 წლის 13 ოქტომბერს განახორციელა ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში და შეიძინა 34%-იანი წილი ,,ამხანაგობა გზა“-ში. ,,ამხანაგობა გზა“ საქმიანობს საქართველოში, გზების და ავტობანების მშენებლობის; სხვა საინჟინრო მოწყობილობების დაყენების ბაზარზე.

მეკავშირე საწარმოში განხორციელებულ ინვესტიციაზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-10 შენიშვნაში.

## 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

### (ა) განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

### (ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

### გ) საოპერაციო გარემო

განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები, როგორიცაა, საქართველო, სწრაფ ცვლილებას განიცდის და მგრძნობიარეა გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიმართ. აღნიშნულის შედეგად, ოპერაციები საქართველოში შეიძლება ექვემდებარებოდეს გარკვეულ რისკებს, რომლებიც როგორც წესი, არაა დაკავშირებული განვითარებულ ბაზრებზე არსებულ რისკებთან. მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ წამოიწყო რიგი სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რომლებმაც დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის საერთო საინვესტიციო კლიმატზე.

### დ) უწყვეტობის პრინციპი

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად.

2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა Covid-19 პანდემია. პანდემიის გავლენის შეზღუდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, შეზღუდვები საერთაშორისო ფრენებზე და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ზომებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესებზე, მათ შორის, კომპანიის საქმიანობაზე. 2021 წელს საქართველოს ეკონომიკაში აღინიშნა დადებითი დინამიკა პანდემიიდან აღდგენის კუთხით. ამას დაერთო მსოფლიო ეკონომიკის აღდგენა და ფასების ზრდა მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე. თუმცა საქართველოსა და მსოფლიოში გარკვეულ ბაზრებზე მაღალი ფასების არსებობა განაპირობებს ინფლაციას საქართველოში. კომპანიის მმართველობამ გადადგა შესაბამისი ნაბიჯები, რათა შეემცირებინა პანდემიის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. ადმინისტრაციული სამსახური გადავიდა დისტანციურ რეჟიმში, ხოლო საწარმოში საოპერაციო პროცესი შენარჩუნებული იყო ყველა წესის დაცვით. ყოველივე ხსენებულის გათვალისწინებით კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა კომპანიაზე შემცირდა.

მმართველობას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა ის განვითარება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბიზნეს სექტორზე და ფართო ეკონომიკაზე და, შესაბამისად, რა გავლენას მოახდენენ ისინი კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მმართველობა მიიჩნევს, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

არსებული სამუშაო გარემოს შემდგომი განახლებებისთვის იხილეთ მე-22-ე შენიშვნა.

## 2.2. კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება შპს გზისა და მისი შვილობილი კომპანიების შპს ბათუმი ცენტრალის და შპს ,,თაუერ ჯგუფი“-ს ფინანსური ანგარიშგებისაგან. იგი ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა ჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

შპს ბათუმი ცენტრალი საქმიანობას ახორციელებს ქ. ბათუმში ოდისეი დიმიტრიადის ქ #3-ში.

| სახელწოდება | ძირითადი საქმიანობა | რეგისტრაციის და საქმიანობის | ფლობილი წილი/ხმის უფლების მქონე წილი (%) |
|---|---|---|---|

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

| | | | ადგილი | 31/12/2020 | 31/12/2019 | 1/1/2019 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შპს ბათუმი ცენტრალი | საიჯარო მომსახურების გაწევა | საქართველო | 55% | 55% | 0% |
| 2 | შპს ,,თაუერ ჯგუფი“ | მშენებლობა | საქართველო | 100% | 0% | 0% |

## 2.3. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები

### კონსოლიდაციის პრინციპები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად:

ა) გაერთიანებულია შპს ,,გზი“-სა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგება მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;

ბ) გამორიცხულია შვილობილ საწარმოში შპს ,,გზა“-ს მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება შვილობილი საწარმოების საკუთარ კაპიტალში;

გ) შეფასებული და ასახულია არამაკონტროლებელი წილი, კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოების საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში, შპს ,,გზი“-ს წილისგან განცალკევებით;

(დ) შეფასებული და ასახულია არამაკონტროლებელი წილი კონსოლიდირებული შვილობილ საწარმოების წმინდა აქტივებში, შპს ,,გზი“-ს წილისაგან განცალკევებით.

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

### ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

| | |
|---|---|
| **მალხაზ დუმბაძე** | **ზესიკ დავითაძე** |
| **დირექტორი** | **ბუღალტერი** |

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

### საიჯარო შემოსავალი

ჯგუფი შემოსავალს იღებს საოპერაციო იჯარაში მეიჯარედ მონაწილეობიდან. საინვესტიციო ქონების საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას და ხელშეკრულების გაფორმებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლისა

### შემოსავალი მომსახურების საკომისიოდან და მოიჯარეებისგან ამოღებადი ხარჯები

საინვესტიციო ქონების შემთხვევაში, რომლის ფლობის მიზანიც იჯარიდან შემოსავლის მიღებაა, ჯგუფი საიჯარო ხელშეკრულებას აფორმებს, როგორც მეიჯარე, რომელიც წარმოადგენს საოპერაციო იჯარას. ეს ხელშეკრულებები შეიცავს მოიჯარეებისთვის (ანუ, კლიენტებისთვის) გარკვეული მომსახურებების გაწევას, მათ შორის ადმინისტრაციული მომსახურებისაც, როგორიცაა დასუფთავება, დაცვა-უსაფრთხოება და სხვა. ჯგუფი გაწეული მომსახურებისთვის კლიენტებს ფიქსირებულ გადასახადს უწესებს. ამგვარი მომსახურებებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე. შემოსავალი მომსახურების საკომისიოდან და სხვა მსგავსი შემოსულობა აისახება შესაბამისი თვითღირებულებების მთლიან ოდენობაში შემოსავლის ნაწილში იმდენად, რამდენადაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფი ამ შემთხვევაში მოქმედებს როგორც პრინციპალი.

### ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მისი დარიცხვისას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი აისახება მოგებაში ან ზარ შემოსავლების ნაწილში.

### ფინანსური ინსტრუმენტები

### გაცემული სესხები

გაცემულ გრძელვადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

გაცემულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით გაუფასურების გამოკლებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაქირავებული პირისთვის (რომელიმე დაკავშირებული მხარეთათვის) უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიცემიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

| | |
|---|---|
| **მალხაზ დუმბაძე** | **ზესიკ დავითაძე** |
| **დირექტორი** | **ბუღალტერი** |

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

### სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

### სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციები

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია ფასდება თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

### სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადა-სახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

### სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი

**ხელმძღვანელობის სახელით:**

| | |
|---|---|
| **მალხაზ დუმბაძე** | **ბესიკ დავითაძე** |
| **დირექტორი** | **ბუღალტერი** |

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც ჯგუფი მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

| | |
|---|---|
| შენობა–ნაგებობები | 40-50 |
| მანქანა-დანადგარები | 10-20 |
| საოფისე აღჭურვილობა | 10-20 |
| ავეჯი და მოწყობილობები | 10-20 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 10-20 |

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

### მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით)იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

### საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების შეფასება ხდება რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საინვესტიციო ქონება მოიცავს საიჯარო შემოსავლის მისაღებად ფლობილ ფართებს.

საინვესტიციო ქონებაში გადატანები ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იცვლება ექსპლუატაციის ხასიათი, მაგალითად, საოპერაციო იჯარის გაფორმებით (ან მყარი ვალდებულების აღებით, რომ გაფორმდება საოპერაციო იჯარა). საინვესტიციო ქონებიდან უძრავ ქონებაში გადატანები ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იცვლება ექსპლუატაციის ხასიათი, რაც დასტურდება გაყიდვის მიზნით ქონების განვითარების დაწყებით.

### იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

### ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ანარიცხების დაკორექტირება, რათა მათში ასახული იყოს იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით. ანარიცხების აღიარების და კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

| | |
|---|---|
| **მალხაზ დუმბაძე** | **ზესიკ დავითაძე** |
| **დირექტორი** | **ბუღალტერი** |

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

## აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

## დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც ჯგუფი ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

## ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

| | |
|---|---|
| **მალხაზ დუმბაძე** | **ზესიკ დავითაძე** |
| **დირექტორი** | **ბუღალტერი** |

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა ‘აგროსილ’ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები ‘აიგროსება’ შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში ‘გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა’ საოპერაციო ხარჯების ნაწილში

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

### ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ჯგუფი აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

| | |
|---|---|
| **მალხაზ დუმბაძე** | **ზესიკ დავითაძე** |
| **დირექტორი** | **ბუღალტერი** |

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

### დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება.

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებით. განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არა არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია მე-20 შენიშვნაში.

### ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ ჯგუფს. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

## 5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

### ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

**COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობაზე ფასს 16-ში შეტანილი ცვლილება, რომელიც გამოიცა 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდეგ.**

ეს შესწორება მოიჯარეს აძლევს შეღავათს, არჩევითი გათავისუფლების სახით იმის შეფასებისგან, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ საიჯარო ქირის დათმობის აღრიცხვა ისე აწარმოონ, თითქოს ისინი არ წარმოადგენდეს იჯარის მოდიფიკაციას. პრაქტიკული მიზანშეწონილობა ვრცელდება მხოლოდ საიჯარო ქირის დათმობებზე, რომლებიც წარმოიქმნება, როგორც COVID-19 პანდემიის პირდაპირი შედეგი და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: იჯარის გადასახადების ცვლილებას შედეგად მოჰყვა იჯარის საზღაურის გადახედვა, რომელიც არსებითად იგივეა, ან ნაკლები, ვიდრე იჯარის საზღაური, რომელიც უშუალოდ ცვლილებამდე არსებობდა; იჯარის გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე; და იჯარის სხვა პირობებში არ ხორციელდება არსებითი ცვლილება.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

| | |
|---|---|
| **მალხაზ დუმბაძე** | **ზესიკ დავითაძე** |
| **დირექტორი** | **ბუღალტერი** |

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდეგი შესწორებული სტანდარტები, თუმცა მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფის საქმიანობაზე: .

- ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა-ფასს 9, ასს 39 და ფასს 7-ში შეტანილი შესწორებები (გამოშვებული 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შესული იმ წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ).

**ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც ჯგუფმა ნაადრევად არ შემოიღო არის შემდეგი:**

**ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასსს-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).**

ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

**ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).**

ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

**ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად – ცვლილებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**

ამ მცირე მასშტაბის ცვლილებებით განმარტებულია, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულება გრძელვადიანია, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს აქვს არსებითი უფლება, რომ ვალდებულების დაფარვა გადაავადოს სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებებით აღარ მოითხოვება, რომ მსგავსი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის თაობაზე, საბოლოოდ გამოიყენებენ თუ არა ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო ყველა შესაბამის პირობას აკმაყოფილებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, თუ რომელიმე პირობა დაირღვევა საანგარიშგებო თარიღით ან მანამდე, თუნდაც ამ პირობაზე უარი მომდინარეობდეს გამსესხებლისგან, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. ამასთან, ცვლილებები მოიცავს იმ ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალში კონვერტირებით.

„დაფარვა" განმარტებულია, როგორც ვალდებულების აღმოფხვრა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებშიც ეკონომიკური სარგებელია განივთებული, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. გამონაკლისი არსებობს კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კაპიტალში კონვერტირდეს, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ბასს 1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ).**

ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID -19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**შემოსულობა გამიზნულ გამოყენებამდე; წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები, მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირემასშტაბიანი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-სა და ფასს 3-ში, და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები, 2018-2020 – ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**

ბასს 16-ში ცვლილებით აკრძალულია საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოქვითვა, რომელიც მიღებულია ისეთი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომელთაც საწარმო გამიზნული დანიშნულებით ამზადებს. მსგავსი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, მოგება-ზარალში აღიარდება. საწარმო ბასს 2-ს გამოიყენებს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ შეიცავს იმ აქტივის ცვეთას, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს, რადგან ის მზად არ არის გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის. ბასს 16-ში ცვლილებით ასევე განმარტებულია, რომ აქტივის ტექნიკური და ფიზიკური შედეგების შეფასებისას საწარმო „ახორციელებს

ტესტირებას, რათა დაადგინოს აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“. აქტივის ფინანსური შედეგები შეუსაბამოა ამ შეფასებისთვის. ამგვარად, აქტივი შეიძლება ვარგისი იყოს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის და მას ცვეთა ერიცხებოდეთ მანამ, სანამ ის მიაღწევს საოპერაციო შედეგების დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მოელის.

ბასს 37-ში ცვლილებით განმარტებულია „ხელშეკრულების შესრულების დანახარჯების“ მნიშვნელობა. ახსნილია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს; ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების განაწილებას. ცვლილებაში განმარტებულია ასევე, რომ წამგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხის გაკეთებამდე საწარმო აღიარებს იმ აქტივების გაუფასურების ზარალს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, ნაცვლად ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივებისა.

ფასს 3-ში ცვლილება შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან მიმართებით, რათა განისაზღვროს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამასთან, ფასს 3-ს ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის.

გამონაკლისი გულისხმობს, რომ საწარმომ, რომელიც ფასს 3-ს იყენებს, ზოგიერთი სახის ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21, ნაცვლად 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო ისეთ ვალდებულებებს აღიარებდა საწარმოთა გაერთიანებაში, რომლებსაც ის არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარად, საწარმოს შეძენისთანავე მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც ეკონომიკურ შემოსულობას არ წარმოადგენს. ამასთან, განმარტებულია, რომ შემძენმა პირობითი აქტივები არ უნდა აღიაროს შეძენის თარიღით, როგორც ბასს 37-ში არის განმარტებული.

ფასს 9-ში შეტანილი ცვლილება ეხება იმის განსაზღვრას, რომელიც საზღაური უნდა შევიდეს ფინანსური ვალდებულებების აღიარებისთვის ჩატარებულ 10%-ის ტესტში. ღირებულება ან საზღაური შეიძლება გადახდილ იქნეს მესამე მხარის ან გამსესხებლისთვის. ამ ცვლილების მიხედვით მესამე მხარისთვის გადახდილი ღირებულება ან საზღაური არ უნდა შევიდეს აღნიშნული 10%-ის ტესტში.

ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზეზია იჯარის სტიმულირების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა.

ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს ფასს-ებს. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შეძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეფასებინათ ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომღებთა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ზესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას.

**შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის).**

შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად , ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-ისთვის:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება: საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე: დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების” ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.
- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში;

**ხელმძღვანელობის სახელით:**

| | |
|---|---|
| **მალხაზ დუმბაძე** | **ზესიკ დავითაძე** |
| **დირექტორი** | **ბუღალტერი** |

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის აგვისტოში და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**

მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლა. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- IBOR– ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა: ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს , რომ საწარმოებმა, გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ მოიჯარეებსაც.
- ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არა სახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი: მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არა სახელშეკრულებო, ან არა სახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება . რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან: მე -2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებეულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე).**

ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).**

ბასს 8- ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები – ფასს 16-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**

2020 წლის მაისში გამოიცა ფასს 16-ის შესწორებები, რომელიც მოიცავდა არასავალდებულო პრაქტიკულ მიზანშეწონილობებს მოიჯარეებისათვის, რათა შეეფასებინათ Covid19-თან დაკავშირებული იჯარის დათმობები, რამაც გამოიწვია 2021 წლის 30 ივნისისთვის/ივნისამდე გადასახდელი საიჯარო გადახდების შემცირება, არის თუ არა იჯარის მოდიფიკაცია. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ გაახანგრძლივა პრაქტიკული მიზანშეწონილობების ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე

**გადავადებული გადასახადი დაკავშირებული აქტივებსა და ვალდებულებებთან რომლებიც წარმოიქმნება ერთი ოპერაციისგან - ბასს 12-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

ბასს 12-ის შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა გარიგებებზე, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. უწინ, იყო გაურკვევლობა იმის თაობაზე, თავისუფლდებოდა თუ არა ისეთ გარიგებები, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები - გარიგებები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, გათავისუფლება არ ვრცელდება და სუბიექტები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობენ დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე

## 6. ამონაგები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| შემოსავალი საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან | 25,772,522 | 49,523,203 |
| ტექნიკის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი | 115,610 | 13,653 |
| **სულ შემოსავალი რეალიზაციიდან** | **25,888,132** | **49,536,855** |

ამონაგებში საიჯარო შემოსავლები შედგება მანქანა დანადგარების და ავტომობილების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლისგან.

### საიჯარო შემოსავლები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| საიჯარო შემოსავლები | 266,645 | 229,827 |
| **სულ შემოსავალი რეალიზაციიდან** | **266,645** | **229,827** |

ჯგუფის იჯარების უმრავლესობა აშშ დოლარშია განფასებული, ხოლო საიჯარო ვადა სამი თვიდან 3 წლამდე მერყეობს.

### სხვა შემოსავალი

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| კრედიტორული დავალიანების შემოსავალში აღიარება | 859,377 | 749,786 |
| მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტობა | 215,376 | 25,117 |
| სხვა შემოსავალი | 57,336 | 61,125 |
| **სულ სხვა შემოსავალი** | **1,132,089** | **836,028** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

| | |
|---|---|
| **მალხაზ დუმბაძე** | **ბესიკ დავითაძე** |
| **დირექტორი** | **ბუღალტერი** |

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

## 7. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოები | 9,390,007 | 13,627,543 |
| ნედლეული და მასალები | 8,411,854 | 14,769,989 |
| შრომის ანაზღაურება | 8,233,504 | 10,376,799 |
| ცვეთა | 932,978 | 868,898 |
| სატრანსპორტო მომსახურება | 719,843 | 1,923,367 |
| სხვა მომსახურებები | 208,026 | 155,834 |
| კომუნალური ხარჯები | 200,053 | 351,091 |
| ძირითადი საშ მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები | 187,751 | 233,929 |
| სადაზღვევო ხარჯი | 56,492 | 93,264 |
| **სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება** | **28,340,506** | **42,400,715** |

### ქონების ექსპლუატაციის ხარჯები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ცვეთის ხარჯი | 140,727 | 140,614 |
| შრომის ანაზღაურება | 97,418 | 92,569 |
| კომუნალური ხარჯები | 23,592 | 23,315 |
| მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები | 9,838 | 15,678 |
| **სულ** | **271,574** | **272,176** |

## 8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ადმინისტრაციის ხელფასი | 431,156 | 187,682 |
| საგადასახადო ხარჯი | 211,285 | 219,777 |
| იურიდიული აუდიტორული მომსახურების ხარჯი | 75,048 | 114,116 |
| კომუნიკაციის ხარჯი | 55,315 | 43,578 |
| საოფისე ხარჯი | 26,580 | 40,159 |
| დაზღვევა | 8,028 | 4,290 |
| სერტიფიცირების ხარჯი | 5,034 | 11,693 |
| სხვა | 2,551 | 4,335 |
| არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია | 1,045 | 2,255 |
| დაცვის ხარჯი | - | 2,534 |
| **სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები** | **816,042** | **630,419** |

## 9. არარეგულარული ხარჯები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| სხვა არარეგულარული ხარჯი | 91,062 | 7,579 |
| გარანტიის საკომისიო | 79,587 | 204,620 |
| საქველმოქმედო ხარჯი | 40,506 | 75,521 |
| ბანკის საკომისიო | 15,848 | 19,564 |
| ჯარიმა საურავები | 12,753 | 11,832 |
| სარეკლამო ხარჯი | 9,980 | 68 |
| მოსაკრებელი | 7,648 | 5,776 |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

| | | |
|---|---|---|
| საჯარო დაწესებულებების მომსახურება | 4,071 | 12,541 |
| საფოსტო მომსახურება | 1,170 | 3,089 |
| **სულ არარეგულარული ხარჯები** | **262,624** | **340,589** |

## 10. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

შპს „გზა“-მ 2020 წლის 13 ოქტომბერს განახორციელა ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში და შეიძინა 34%-იანი წილი ,,ამხანაგობა გზა“-ში.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი** | - |
| ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში | 15.00 |
| მეკავშირე საწარმოს პერიოდის შედეგში ინვესტორის წილი | 352,002 |
| მეკავშირე საწარმოდან დივიდენდის გატანა | - |
| **ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი** | **352,017** |
| მეკავშირე საწარმოს პერიოდის შედეგში ინვესტორის წილი | (799,942) |
| მეკავშირე საწარმოდან დივიდენდის გატანა | - |
| **ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი** | **(447,926)** |

2021-2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში მეკავშირე საწარმოებიდან დივიდენდის განაწილება არ მომხდარა

მეკავშირე საწარმოს ფინანსური ინფორმაცია 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | **2021** | **2020** |
|---|---|---|
| მიმდინარე აქტივები | 2,188,083 | 4,977,534 |
| გრძელვადიანი აქტივები | 122,085 | 45,123 |
| **სულ აქტივები** | **2,310,168** | **5,022,657** |
| | | |
| მიმდინარე ვალდებულებები | 3627543 | 3,987,313 |
| კაპიტალი | 45 | 45 |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | **3,627,588** | **3,987,358** |
| | | |
| შემოსავალი | 6,482,544 | 1,310,128 |
| ხარჯები | (8,835,263) | (274,828) |
| **წლის წმინდა მოგება** | **(2,352,719)** | **1,035,300** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე** — **დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე** — **ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

## 11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

| | მიწის ნაკვეთები | შენობა ნაგებობები | მანქანა-დანადგარები | ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა) | კავშირგაბმულობის საშუალებები | ავეჯი და სხვა ინვენტარი | სატრანსპორტო საშუალებები | არამატერიალური აქტივები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *საბალანსო ღირებულება* | | | | | | | | | |
| **დეკემბერი 31, 2019** | **1,417,730** | **2,091,509** | **5,694,973** | **519,398** | **158,629** | **399,122** | **12,455,125** | **15,373** | **22,751,859** |
| მატება | 4,617,817 | 766,678 | 113,895 | 144,159 | 7,265 | 63,177 | 1,967,188 | - | **7,680,179** |
| კლება | - | - | (18,424) | (673) | (342) | (53,418) | (55,636) | - | **(128,493)** |
| **დეკემბერი 31, 2020** | **6,035,548** | **2,858,187** | **5,790,444** | **662,883** | **165,552** | **408,881** | **14,366,677** | **15,373** | **30,303,545** |
| მატება | | 65,045 | 445,784 | 33,572 | 4,790 | 194,047 | 297,385 | 1,271 | **1,041,894** |
| კლება | | (771,025) | (154,690) | (30,119) | - | (2,329) | (272,146) | - | **(1,230,310)** |
| **დეკემბერი 31, 2021** | **6,035,548** | **2,152,207** | **6,081,538** | **666,336** | **170,342** | **600,599** | **14,391,916** | **16,644** | **30,115,129** |
| *დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება* | | | | | | | | | - |
| **დეკემბერი 31, 2019** | **-** | **(470,904)** | **(3,074,229)** | **(166,100)** | **(35,889)** | **(230,367)** | **(7,729,493)** | **(7,076)** | **(11,714,059)** |
| მიმდინარე წლის ცვეთა | - | (63,489) | (314,567) | (48,923) | (9,399) | (32,918) | (434,972) | (2,255) | **(906,524)** |
| ცვეთის ამობრუნება | - | - | 18,447 | 673 | 342 | 53,418 | 40,106 | - | **112,986** |
| **დეკემბერი 31, 2020** | **-** | **(534,393)** | **(3,370,349)** | **(214,350)** | **(44,946)** | **(209,867)** | **(8,124,358)** | **(9,332)** | **(12,507,597)** |
| მიმდინარე წლის ცვეთა | - | (42,718) | (341,193) | (57,408) | (10,526) | (38,945) | (460,894) | (1,209) | **(952,893)** |
| ცვეთის ამობრუნება | - | 15,601 | 114,023 | 19,682 | - | 174 | 101,576 | - | **251,056** |
| **დეკემბერი 31, 2021** | **-** | **(561,510)** | **(3,597,519)** | **(252,076)** | **(55,473)** | **(248,639)** | **(8,483,677)** | **(10,541)** | **(13,209,434)** |
| *ნარჩენი ღირებულება* | | | | | | | | | - |
| **დეკემბერი 31, 2019** | **1,417,730** | **1,620,605** | **2,620,744** | **353,297** | **122,739** | **168,755** | **4,725,632** | **8,297** | **11,037,800** |
| **დეკემბერი 31, 2020** | **6,035,548** | **2,323,794** | **2,420,095** | **448,533** | **120,605** | **199,013** | **6,242,319** | **6,041** | **17,795,948** |
| **დეკემბერი 31, 2021** | **6,035,548** | **1,590,696** | **2,484,019** | **414,260** | **114,869** | **351,960** | **5,908,240** | **6,104** | **16,905,696** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ზესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

მიწის ნაკვეთები, შენობა ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები იპოთეკით არის დატვირთული და დაგირავებული ბანკის სესხების უზრუნველსაყოფად

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნუ-ლების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რიის ვალდებულებაც ჯგუფმა აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ მანქანა-დანადგარის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

| | |
|---|---|
| **მალხაზ დუმბაძე** | **ბესიკ დავითაძე** |
| **დირექტორი** | **ბუღალტერი** |

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

## 12. საინვესტიციო ქონება

| | მიწა | შენობა | სულ |
|---|---|---|---|
| აფასებული ღირებულება | | | |
| **დეკემბერი 31, 2019** | **12,222,105** | **9,867,015** | **22,089,120** |
| მატება | - | 437,364 | **437,364** |
| საინვესტიციო ქონებიდან მირითად საშუალებებში გადატანა (შენიშვნა 11) | (4,617,817) | (765,025) | **(5,382,842)** |
| **დეკემბერი 31, 2020** | **7,604,288** | **9,539,354** | **17,143,642** |
| მატება | - | - | **437,364** |
| საინვესტიციო ქონებიდან მირითად საშუალებებში გადატანა (შენიშვნა 11) | - | - | **(5,382,842)** |
| **დეკემბერი 31, 2021** | **7,604,288** | **9,539,354** | **17,143,642** |
| *დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება* | | | **-** |
| **დეკემბერი 31, 2019** | **-** | **(388,525)** | **(388,525)** |
| მიმდინარე წლის ცვეთა | - | (127,062) | **(127,062)** |
| ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე | | | **-** |
| **დეკემბერი 31, 2020** | **-** | **(515,587)** | **(515,587)** |
| მიმდინარე წლის ცვეთა | - | (127,467) | **(127,467)** |
| ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე | | | **-** |
| **დეკემბერი 31, 2021** | **-** | **(643,054)** | **(2,281,134)** |
| *ნარჩენი ღირებულება* | | | |
| **დეკემბერი 31, 2019** | **12,222,105** | **9,478,490** | **21,700,595** |
| **დეკემბერი 31, 2020** | **7,604,288** | **9,023,768** | **16,628,055** |
| **დეკემბერი 31, 2021** | **7,604,288** | **8,896,300** | **16,500,588** |

საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის შემდგარი ჩვეულებრივი გარიგების პირობებში. დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ საინვესტიციო ქონებისა და მშენებარე საინვესტიციო ქონების ბოლო შეფასების თარიღია 2019 წლის 6 მაისი. შეფასება ჩაატარა აკრედიტებულმა დამოუკიდებელმა შემფასებელმა, რომელსაც აქვს აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ასევე აქვს გამოცდილება შესაფასებელი საინვესტიციო ქონების ანალოგიური კატეგორიისა და ადგილმდებარეობის ქონების შეფასებაში. გამოყენებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდებული შეფასების მოდელები და შეფასება შეესაბამება ფასს 13-ის პრინციპებს. საინვესტიციო ქონების შეფასება მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეს.

საინვესტიციო ქონება იპოთეკით არის დატვირთული ბანკის სესხების უზრუნველსაყოფად

## 13. მარაგი

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ნედლეული და მასალები. | 8,413,745 | 8,251,013 |
| მზა პროდუქცია | 368,294 | 417,476 |
| **ჯამი** | **8,782,038** | **8,668,489** |
| პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება | 8,411,854 | 14,769,989 |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

## 14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| სავაჭრო დებიტორები | 14,755,937 | 12,596,766 |
| გაუფასურების ზარალის თანხა | (2,723,235) | (2,109,206) |
| **სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება** | **12,032,702** | **10,487,560** |
| მ.შ. დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები | 5,375,631 | 1,758,381 |
| სხვა მხარეებისაგან მისაღები | 6,657,071 | 8,729,179 |
| წინასწარი გადახდები | 3,908,489 | 3,799,523 |
| **სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები** | **15,941,191** | **14,287,083** |

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად მომსახურების ვადის განმავლობაში ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებისა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი ეფუძნება კლიენტების გადახდების ანალიზს და შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაშია მიღებული. საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის განისაზღვრება ქვემოთ წარდგენილი რეზერვის მატრიცის მიხედვით. რეზერვის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას. ინდივიდუალური შეფასების მიდგომა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული სისტემით გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე და მსგავს ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე.

2021 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

| 2021 წელი | ზარალის განაკვეთი | ბრუტო საბალანსო ღირებულება | მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი | ნეტო საბალანსო ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები** | | | | |
| მიმდინარე | 0% | 83,526 | - | 83,526 |
| 30 - 90 დღით ვადაგადაცილებული | 5% | 93,602 | 4,680 | 88,922 |
| 91 - 180 დღით ვადაგადაცილებული | 15% | 37,170 | 5,575 | 31,594 |
| 181 - 365 დღით ვადაგადაცილებული | 50% | 333,724 | 166,862 | 166,862 |
| 365-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული | 100% | 2,546,118 | 2,546,118 | - |
| ინდივიდუალური შეფასება | 0% | 11,661,799 | - | 11,661,799 |
| **სულ** | | **14,755,937** | **2,723,235** | **12,032,702** |

2020 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

| 2020 წელი | ზარალის განაკვეთი | ბრუტო საბალანსო ღირებულება | მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი | ნეტო საბალანსო ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები** | | | | |
| მიმდინარე | 0% | 556,106 | - | 556,106 |
| 30 - 90 დღით ვადაგადაცილებული | 5% | 7,946 | 397 | 7,549 |
| 91 - 180 დღით ვადაგადაცილებული | 15% | 18,371 | 2,756 | 15,616 |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 181 - 365 დღით ვადაგადაცილებული | 50% | 46,851 | 23,426 | 23,426 |
| 365-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული | 100% | 2,082,628 | 2,082,628 | - |
| ინდივიდუალური შეფასება | 0% | 9,884,863 | - | 9,884,863 |
| **სულ** | | **12,596,766** | **2,109,206** | **10,487,560** |

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| **საკრედიტო ზარალის რეზერვი** | **2,109,206** | **1,980,287** |
| საკრედიტო ზარალის რეზერვი შემცირება | - | - |
| სულ ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი პერიოდის მოგება-ზარალში | 614,029 | 128,919 |
| **სულ საკრედიტო ზარალის რეზერვი** | **2,723,235** | **2,109,206** |

## 15. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ფულადი სახსრები სალაროში | 7,962 | 15,972 |
| ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე | 57,926 | 1,320,568 |
| **სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები** | **65,888** | **1,336,540** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

## 16. სესხები

### მიღებული სესხები

| სესხის ნომერი | | მოქმედების ვადა | | ვალუტა | წლიური პროცენტი | ნაშთი 31.12.2021 ვალუტა | ნაშთი 31.12.2021 ექვივალენტი | ნაშთი 31.12.2020 ვალუტა | ნაშთი 31.12.2020 ექვივალენტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხელშეკრულება N | 570-C14 | 07.05.2019 | 07.05.2029 | *USD* | 8% | 1,869,569 | 5,791,177 | 2,047,191 | 6,707,825 |
| ხელშეკრულება N | 570-C21 | 27.02.2020 | 05.10.2022 | *EUR* | 8% | 1,000,000 | 3,504,000 | 1,000,000 | 4,023,300 |
| ხელშეკრულება N | 570-C32 | 20.08.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 400,000 | 1,239,040 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C36 | 29.10.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 115,000 | 356,224 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C35 | 01.10.2021 | 05.10.2022 | *USD* | 8% | 260,000 | 805,376 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C34 | 30.09.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 180,000 | 557,568 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C33 | 16.09.2021 | 05.10.2022 | *USD* | 8% | 600,000 | 1,858,560 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C38 | 29.12.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 500,000 | 1,548,800 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C37 | 17.12.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 305,000 | 944,768 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C20 | 15.12.2021 | 25.01.2030 | *EUR* | 6% | 1,998,515 | 7,002,795 | 2,186,679 | 8,797,664 |
| ხელშეკრულება N | 570-C29 | 28.04.2021 | 25.07.2021 | *GEL* | 14% | - | 1,300,000 | - | - |
| ხელშეკრულება N | 29.11.2021 | 29.11.2021 | 29.01.2022 | *GEL* | 20% | - | 30,820 | - | - |
| სესხი დაკავშირებული მხარედან | 03.04.2019 | 03.04.2019 | 31.12.2025 | *USD* | 8% | 558,705 | 1,730,645 | 602,095 | 1,972,824 |
| სესხი დაკავშირებული მხარედან | 03.04.2019 | 03.04.2019 | 28.01.2021 | *GEL* | 9% | - | - | - | 10,000 |
| **გადასახდელი პროცენტები** | | | | | | | | | |
| ხელშეკრულება N | 570-C14 | 07.05.2019 | 07.05.2029 | *USD* | 8% | 9,841 | 30,484.81 | 10,782 | 35,328.83 |
| ხელშეკრულება N | 570-C21 | 27.02.2020 | 05.10.2022 | *EUR* | 8% | 3,616 | 12,672.01 | 3,616 | 14,550.02 |
| ხელშეკრულება N | 570-C32 | 20.08.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 2,055 | 6,364.95 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C36 | 29.10.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 567 | 1,756.71 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C35 | 01.10.2021 | 05.10.2022 | *USD* | 8% | 1,368 | 4,236.49 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C34 | 30.09.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 925 | 2,864.23 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C33 | 16.09.2021 | 05.10.2022 | *USD* | 8% | 3,156 | 9,776.55 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C38 | 29.12.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 205 | 636.49 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C37 | 17.12.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 877 | 2,717.83 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C20 | 15.12.2021 | 25.01.2030 | *EUR* | 6% | 7,267 | 25,462 | 7,918 | 31,855 |
| ხელშეკრულება N | 570-C29 | 28.04.2021 | 25.07.2021 | *GEL* | 14% | - | 117,427 | - | - |
| ხელშეკრულება N | 29.11.2021 | 29.11.2021 | 29.01.2022 | *GEL* | 20% | - | 367 | - | - |
| სესხი დაკავშირებული მხარედან | 03.04.2019 | 03.04.2019 | 31.12.2025 | *USD* | 8% | 191,736 | 593,921 | 143,805 | 471,191 |
| სესხი დაკავშირებული მხარედან | 03.04.2019 | 03.04.2019 | 28.01.2021 | *GEL* | 9% | - | - | - | 33,359 |
| **სულ ნასესხები ფულადი სახსრები** | | | | | | | **27,478,460** | **6,002,085** | **22,097,897** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ზესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

ბანკებიდან აღებულ გრძელვდიან სესხების სანაცვლოდ იპოთეკით დატვირთულია ჯგუფის საინვესტიციო ქონება, მიწები, შენობა-ნაგებობები, დაგირავებულია ჯგუფის მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები.

ჯგუფს აქვს მიღებული სესხი დაკავშირებულ მხარედან. (შენიშვნა 20 ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან).

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული მიღებული სესხები:

| | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|
| მიღებული გრძ. სესხების მიმდ. ნაწილი | 10,566,916 | 1,985,166 |
| მიღებული გრძელვადიანი სესხები | 16,911,545 | 20,112,731 |
| | **27,478,460** | **22,097,897** |

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| საპროცენტო ხარჯები | 1,556,498 | 1,322,399 |
| **ჯამი** | **1,556,498** | **1,322,399** |

## გაცემული სესხები

| სესხის ნომერი | | მოქმედების ვადა | | ვალუტა | წლიური პროცენტი | ნაშთი 31.12.2021 ვალუტა | ნაშთი 31.12.2021 ექვივალენტი | ნაშთი 31.12.2020 ვალუტა | ნაშთი 31.12.2020 ექვივალენტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხელშეკრულება N | 09.09.2020 | 09.09.2020 | 31.12.2022 | *GEL* | 8% | - | 2,496,974 | - | 1,996,000 |
| ხელშეკრულება N | 16.07.2021 | 16.07.2021 | 31.12.2022 | *GEL* | 10% | - | 34,283 | - | - |
| ხელშეკრულება N | 01.09.2021 | 01.09.2021 | 31.12.2022 | *EUR* | 7% | 71,418 | 250,248 | - | - |
| ხელშეკრულება N | 17.12.2021 | 17.12.2021 | 31.12.2022 | *USD* | 8.5% | 85,000 | 263,296 | - | - |
| ხელშეკრულება N | 28.04.2021 | 28.04.2021 | 01.12.2022 | *GEL* | 15.0% | - | 1,300,000 | | |
| **გადასახდელი პროცენტები** | | | | | | | | | |
| ხელშეკრულება N | 09.09.2020 | 09.09.2020 | 31.12.2022 | *GEL* | 8% | - | 213,122 | - | 46,373 |
| ხელშეკრულება N | 16.07.2021 | 16.07.2021 | 31.12.2022 | *GEL* | 10% | - | 2,833 | - | - |
| ხელშეკრულება N | 01.09.2021 | 01.09.2021 | 31.12.2022 | *EUR* | 7% | 1,260 | 4,415 | - | - |
| ხელშეკრულება N | 17.12.2021 | 17.12.2021 | 31.12.2022 | *USD* | 8.5% | 278 | 861 | - | - |
| ხელშეკრულება N | 28.04.2021 | 28.04.2021 | 01.12.2022 | *GEL* | 15.0% | - | 140,481 | | |
| **სულ გაცემული ფულადი სახსრები** | | | | | | | **4,706,514** | | **2,042,373** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ზესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

გაცემული სესხებიდან პროცენტის სახით მიღებულმა შემოსავალმა საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა:

| | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|
| გაცემული გრძ. სესხების მიმდ. ნაწილი | 4,706,514 | 46,373 |
| გაცემული გრძელვადიანი სესხები | - | 1,996,000 |
| | **4,706,514** | **2,042,373** |

გაცემულ სესხზე საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა:

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| ფინანსური შემოსავალი | 315,340 | 46,373 |
| **ჯამი** | **315,340** | **46,373** |

ჯგუფს აქვს გაცემული სესხი დაკავშირებულ მხარეებზე. (შენიშვნა 20) ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე** — **დირექტორი**

**ზესიკ დავითაძე** — **ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

## 17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| სავაჭრო ვალდებულებები | 3,347,942 | 1,721,156 |
| მ.შ. დაკავშირებული მხარეებისათვის გადასახდელი | 7,500 | 23,000 |
| სხვა მომწოდებლებისათვის გადასახდელი | 3,340,442 | 1,698,156 |
| საგარანტიო ანარიცხები | 20,502 | 10,568 |
| წინასწარ მიღებული თანხები | 6,103,040 | 6,147,213 |
| **სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები** | **9,471,484** | **7,878,937** |

### თანამშრომელთა ვალდებულებები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| გადასახდელი ხელფასი | 327,147 | 223,795 |
| საპენსიო შენატანი | 156,246 | 169,119 |
| **სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები** | **483,393** | **392,914** |

## 18. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

*გარემოსდაცვითი საკითხები.* საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. ჯგუფის პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

## 19. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის

**ხელმძღვანელობის სახელით:**

| | |
|---|---|
| **მალხაზ დუმბაძე** | **ბესიკ დავითაძე** |
| **დირექტორი** | **ბუღალტერი** |

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა:

| | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 65,888 | 1,336,540 |
| გაცემული სესხები | 4,706,514 | 2,042,373 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 15,941,191 | 14,287,083 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **20,713,593** | **17,665,996** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | |
| მიღებული სესხები | 27,478,460 | 22,097,897 |
| ვალდებულებები | 10,983,289 | 10,421,591 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **38,461,749** | **32,519,488** |

### საკრედიტო რისკი.

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის საინვესტიციო და საოპერაციო გარიგებების შედეგად, რომელიც გულისხმობს ვადიანი დეპოზიტების განთავსებას, პროდუქციის საკრედიტო პირობებით რეალიზაციას და სხვა გარიგებებს კონტრაჰენტებთან რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივების წარმოშობას/ზრდას.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში, ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი კლასის მიხედვით შემდეგია:

| | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 65,888 | 1,336,540 |
| გაცემული სესხები | 4,706,514 | 2,042,373 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 15,941,191 | 14,287,083 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **20,713,593** | **17,665,996** |

### უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. ჯგუფის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

ჯგუფის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს ჯგუფის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული, აგრეთვე აშშ დოლარში დენომინირებული გასესხებული და ნასესხები თანხებიდან.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

*( ქართულ ლარში )*

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც ჯგუფს სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით:

| | აქტივები 31 დეკემბერი 2021 | პასივები 31 დეკემბერი 2021 | აქტივები 31 დეკემბერი 2020 | პასივები 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|---|---|
| USD | 7,586,275 | 17,467,408 | 2,827,268 | 9,360,989 |
| EUR | 9,062,972 | 10,849,744 | 10,129,610 | 13,489,459 |
| TRY | - | 39,997 | 6,585 | 75,017 |
| **ჯამი** | **16,649,247** | **28,357,149** | **12,963,463** | **22,925,465** |

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს ჯგუფის მგრძნობელობას 20%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 20% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილებით. დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ:

| | გავლენა აქტივის | | გავლენა პასივის | |
|---|---|---|---|---|
| | 20%-იანი ზრდა | 20%-იანი კლება | 20%-იანი ზრდა | 20%-იანი კლება |
| მოგება/(ზარალი) 2020 | 2,592,693 | (2,592,693) | 4,585,093 | (4,585,093) |
| მოგება/(ზარალი) 2021 | 3,329,849 | (3,329,849) | 5,671,430 | (5,671,430) |

## ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება, ჯგუფის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას. ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს ჯგუფის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც ჯგუფს მოეთხოვება გადახდა.

| | | |
|---|---|---|
| **ფინანსური ვალდებულებები** | | |
| მიღებული სესხები | 27,478,460 | 22,097,897 |
| ვალდებულებები | 10,983,289 | 10,421,591 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **38,461,749** | **32,519,488** |

## 20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთები და ოპერაციები ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

| | |
|---|---|
| **მალხაზ დუმბაძე** | **ბესიკ დავითაძე** |
| **დირექტორი** | **ბუღალტერი** |

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან, ხოლო სხვა დაკავშირებული მხარეები კომპანიებისაგან, რომლებშიც ფლობენ წილებს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები, ან იკავებენ მმართველობით პოზიციებს.

| 2021 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | უმაღლესი ხელმძღვანელობა | სხვა დაკავშირებული მხარეები |
|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | 143,521 | 5,232,110 |
| მისაღები პროცენტები | | 361,712 |
| სასესხო მოთხოვნები | | 4,344,801 |
| სავაჭრო ვალდებულებები | 7,500 | |
| მიღებული ავანსი | | |
| მიღებული სესხები | 1,730,645 | |
| გადასახდელი პროცენტები | 593,921 | |
| **სრული შემოსავლის ანგარიშგება** | | |
| შემოსავალი რეალიზაციიდან | 144,616 | 3,710,882 |
| საქონლის შეძენა/მომსახურების მიღება | | 208,711 |
| საპროცენტო შემოსავალი | | 315,340 |
| საპროცენტო ხარჯი | 148,633 | 1,414 |
| დივიდენდის განაწილება | 1,105,263 | |

| 2020 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | უმაღლესი ხელმძღვანელობა | სხვა დაკავშირებული მხარეები |
|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | | 1,758,381 |
| მისაღები პროცენტები | | 46,373 |
| სასესხო მოთხოვნები | | 1,996,000 |
| სავაჭრო ვალდებულებები | 23,000 | |
| მიღებული სესხები | 1,982,824 | |
| გადასახდელი პროცენტები | 504,550 | |
| **სრული შემოსავლის ანგარიშგება** | | |
| შემოსავალი რეალიზაციიდან | | 2,362,484 |
| საქონლის შეძენა/მომსახურების მიღება | | 183,762 |
| საპროცენტო შემოსავალი | 197,310 | 46,373 |
| საპროცენტო ხარჯი | 35,115 | |
| დივიდენდის განაწილება | 2,945,263 | |

| | | |
|---|---|---|
| **უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა** | **731,703** | **686,860** |

ჯგუფის ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან ძირითადად საერთო დამფუძნებლის მქონე კომპანიებზე გაცემული სესხები წარმოადგენს (შენიშვნა 16).

## 21. გუდვილი

ხელმძღვანელობა გუდვილის გაუფასურების ტესტირებას ატარებს ყოველწლიურად. გუდვილი მიკუთვნებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისთვის, მათ შორის ახლად შექმნილი ერთეულებისთვის, **ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სინერგიით და წარმოადგენს ჯგუფის ყველაზე დაბალ დონეს, რომელზეც ხელმძღვანელობა აკონტროლებს გუდვილს.

გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს დეტალურ ხუთწლიან საპროგნოზო პერიოდს და ასევე ეყრდნობა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ექსტრაპოლაციას დარჩენილი პერიოდში, რომელიც გაანგარიშებულია ხელმძღვანელობის მიერ დადგენილ ზრდის ტემპზე. გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 271,034 ლარს (2020 -271,034). 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობამ გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისთვის მომავალი ფულადი ნაკადები და შესაბამისი დაშვებები განსაზღვრა, აქტივთა ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება დათვლილია შესაბამისი განაკვეთით, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას და აქტივთან დაკავშირებულ რისკებს.

### ფულადი ნაკადების მოძრაობასთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებები და მგრძნობელობის ანალიზი

ხელმძღვანელობის მთავარი მისია მოიცავს სტაბილური საოპერაციო მოგების მარჟის შენარჩუნებას, რაც დაფუძნებულია წინა წლების გამოცდილებაზე სამომავლო პერიოდის პროგნოზებზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს საუკეთესო შესაძლო მიდგომაა პროგნოზების გასაკეთებლად.

აქტივთა ჯგუფის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებული ძირითადი დაშვებები უკავშირდება: ა) საოპერაციო მარჟას, ბ) დისკონტის განაკვეთს და გ) ზრდის ტემპს. გამომდინარე აქედან, აღნიშნული დაშვებების მცირედი ცვლილება არსებით გავლენას ახდენს ანაზღაურებად ღირებულებაზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილები გვიჩვენებს 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ ძირითად დაშვებებს, დაშვებების მიმართ სენსიტიურობის ანალიზს და მათ ისეთ ცვლილებას, რომელიც განაპირობებს ანაზღაურებადი ღირებულების ტოლობას საბალანსო ღირებულებასთან:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| ძირითადი დაშვებები | | ა) +0.4%<br>ბ) გ) +1% | ა) -0.4%<br>ბ) გ) -1% | საბალანსო ღირებულება უტოლდება<br>ანაზღაურებად ღირებულებას თუ |
|---|---|---|---|---|
| ა) საოპერაციო მარჟა | 3.09% | 19,185 | (19,185) | მცირდება 3.99%-დან 3.05%-მდე |
| ბ) დისკონტის განაკვეთი | 12.68% | (9,250) | 9,530 | იზრდება 12.68%-დან 13.5%-მდე |
| გ) ზრდის ტემპი | 3.2% | 6,343 | (5,582) | მცირდება 3.2%-დან (0.8)%-მდე |

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| ძირითადი დაშვებები | | ა) +0.3%<br>ბ) გ) +1% | ა) -0.3%<br>ბ) გ) -1% | საბალანსო ღირებულება უტოლდება<br>ანაზღაურებად ღირებულებას თუ |
|---|---|---|---|---|
| ა) საოპერაციო მარჟა | 2.99% | 18,665 | (18,665) | მცირდება 2.99%-დან 2.81%-მდე |
| ბ) დისკონტის განაკვეთი | 11.78% | (8,810) | 10,497 | იზრდება 11.78%-დან 13.1%-მდე |
| გ) ზრდის ტემპი | 2.2% | 5,323 | (4,742) | მცირდება 2.2%-დან (0.35)%-მდე |

ა) საოპერაციო მარჟა - ფულადი ნაკადების პროგნოზი ასახავს სტაბილურ მოგების მარჟას, რომელიც გათვალისწინებულია ფორმალურ ბიუჯეტში. ხელმძღვანელობის შეფასებით მოსალოდნელია ეფექტურობის

**ხელმძღვანელობის სახელით:**

| | |
|---|---|
| **მალხაზ დუმბაძე** | **ბესიკ დავითაძე** |
| **დირექტორი** | **ბუღალტერი** |

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

გაუმჯობესება და დაგეგმილი საოპერაციო მარჟა განსხვავდება ჯგუფის 2021 და 2020 წლის ფაქტიური მარჟიდან 2.7 % და 1.83%.

ბ) ზრდის განაკვეთი - ზრდის განაკვეთი ასახავს გრძელვადიან საშუალო ზრდის განაკვეთს პროდუქციის ხაზისთვის და ჯგუფის საქმიანობის სფეროსთვის. ხელმძღვანელობა გრძელვადიანი ზრდის ტემპის შეფასებისთვის იყენებს დოლარის გრძელვადიან ინფლაციის მაჩვენებელს.

გ) დისკონტირების განაკვეთი - დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებას (WACC), რომელიც ითვალისწინებს საბაზრო რისკისა და ჯგუფისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკების შესაბამის კორექტირებებს.

ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან გარკვეულ კორელაციური კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის. მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოთეზური დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს ჯგუფის მოსაზრებას შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

## 22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

***რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი.*** 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთ-უკრაინის საზღვართან დაჯგუფების შემდეგ რუსულმა სამხედრო ძალებმა გადაჭრეს საზღვარი. ხსენებული კონფლიქტი წარმოადგენს უდიდეს სამხედრო შეტაკებას ევროპის სახელმწიფოში მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ. ამ მოვლენამ გამოიწვია ლტოლვილების კრიზისი ევროპაში, რადგან ომის დაწყების შემდეგ მილიონობით უკრაინელმა დატოვა თავისი სამშობლო. უკრაინასთან ომის გამო ბევრმა წამყვანმა სახელმწიფომ და ეკონომიკურმა კავშირმა მწვავე ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს და აღინიშნა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებით, აგრეთვე დაეცა ფასი მნიშვნელოვნად ფასიან ქაღალდებზე რუსულ ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებულ რუსული კომპანიების შემთხვევაში. ბევრმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან ბელარუსში გადაიტანა. სიტუაცია კვლავ რთულია. მან უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთში და დანარჩენ მსოფლიოში.

კომპანია უკრაინაში არსებულ კონფლიქტს მიიჩნევს არაკორექტირებად მოვლენად, რომელიც ბალანსის შედგენის შემდგომ მიმდინარეობს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მას არ ექნება საგრძნობი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

რადგან კონფლიქტი გრძელდება, ძნელია იმ სრული გავლენის შეფასება, რომელიც მას შესაძლოა ქონდეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია მისი გავლენა ეკონომიკაზე ზოგადად. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ სიტუაციას არსებულ გარემოში.

## 23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 1 ოქტომბერს

**ხელმძღვანელობის სახელით:**

| | |
|---|---|
| **მალხაზ დუმბაძე** | **ბესიკ დავითაძე** |
| **დირექტორი** | **ბუღალტერი** |

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გზა“

## მმართველობის ანგარიშგება

(2021 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

საქართველო, ქ. ბათუმი

2022 წელი

# 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება

შპს „გზა“ (ს/ნ 245525132) დაფუძნდა 2005 წლის 3 თებერვალს. კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია გიორგი ჭყონია. შპს „გზა“-ს იურიდიული მისამართია - ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ., №51, ბინა 1. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგზაო, სამშენებლო, წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო ქსელის სამშენებლო საქმიანობა. კომპანიას ხელვაჩაურის სამრეწველო ზონაში საკუთრებაში გააჩნია ორი სამეურნეო ეზო (სულ 8 ჰა-მდე) სადაც განთავსებულია ორი ქვის სამტვრევი დანადგარი, ორი ბეტონის ქარხანა, ასფალტის ქარხანა, ფილებისა და ბორდიურების დამამზადებელი საწარმოო ხაზი და სხვა. ასევე 140 ერთეულზე მეტი მუშა მდგომარეობაში მყოფი საწარმოო ტექნიკა (ასფალტის დასაგები მანქანები, ბეტონ ამრევები, ამწე - კრანები, თვითმცლელები, ტრაქტორები და ა.შ).

კომპანიის საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

1. გზების და ხიდების მშენებლობა.
2. წყლისა და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა.
3. სამოქალაქო დანიშნულების შენობების მშენებლობა.
4. აეროპორტის მშენებლობა.
5. ასფალტის წარმოება.
6. ბეტონის და ბეტონის ნაკეთობების წარმოება.
7. ფილებისა და ბორდიურების წარმოება.
8. ქვიშა-ხრეშის მოპოვება და გადამუშავება.
9. სამშენებლო მასალების რეალიზაცია.
10. მანქანა-მექანიზმებით მომსახურება.

კომპანიამ პირველი დიდი პროექტი განახორციელა 2006-2007 წლებში, როდესაც შპს „ტავ ურბან ჯორჯიას“ დაკვეთით შეასრულა ბათუმის აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკისა და სადგომის რეაბილიტაცია.

2009-2010 წლებში შპს „ბაუერ ჯორჯიას“ დაკვეთით განახორციელა დღევანდელი სასტუმრო ჰილტონის საძირკვლის მოწყობა (ბეტონის მიწოდება და შესრულება).

2010-2011 წლებში კომპანიამ განახორციელა ადლიის საბაჟო ტერმინალის (გეზ-ი), აეროპორტის ახალი გზისა და სს „ავრაზია ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული ავტოსადგურისა და ტერმინალის მშენებლობა.

შპს „ბათუმი ცენტრალის“ დაკვეთით დასრულდა ბათუმის ახალი რკინიგზის სადგურისა და ბიზნეს ცენტრის მშენებლობა. რომელშიც 2019 წლის 6 მაისს შეისყიდა 55%-იანი წილი.

2015 წლიდან დღემდე კომპანია ახორციელებს ქალაქ ბათუმში წყლისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციას გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) დაფინანსებით.

დაარსებიდან მოყოლებული შპს "გზა" წარმატებით და მაქსიმალურად სწრაფად ახორციელებს ყველა სახის სამშენებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტს. ქვეყნის წამყვან კომპანიებთან ერთად შპს "გზა"-მ არაერთ ძვირადღირებულ პროექტს შეასხა ხორცი. ბათუმსა და ქობულეთში განლაგებული ოფისები დაკომპლექტებულია ენერგიული და აქტიური მაღალკვალიფიციური ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალით, რომელიც ადვილად ართმევს თავს ყველა სახისა და მასშტაბის სამშენებლო პროექტს. ამასთან, საქმიანობის სფეროში

მომსახურების ხარისხისა და “ნოუ-ჰაუ”-ს ამაღლების მიზნით მუდმივად თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან კომპანიებთან. შპს. “გზა”-ს აქვს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი პარკი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ის არის ლიდერი ასფალტის, სანიაღვრე და საკანალიზაციო ჭებისა წარმოებაში, საგზაო, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობის, ასევე სამოქალაქო მშენებლობასა და რემონტში. ასევე ვართ ჩვენი რეგიონით დაინტერესებული ნებისმიერი უცხოური კომპანიის გამორჩეული პარტნიორი.

2021 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 26 154 777 ლარს შეადგენს, რაც წინა წლის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივების ღირებულება შეადგენს 63,308,143 ლარს ხოლო საკუთარი კაპიტალი 24,398,469 ლარიდან - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდილია - 28,992,873 ლარამდე.

მიმდინარე წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას იმისას, რომ, ხელსაყრელ გარემოებებში, მომავალში საზოგადოება შესძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, საზოგადოებას განზრახული აქვს გააგრძელოს მუშაობა ტექნიკის განახლებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, დამკვეთების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

შპს ”გზა” ისწრაფვის იყოს ლიდერი კონკრეტულ ბაზარზე, სრულად დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნილებები და ამით გაამართლოს მასზე დამყარებული ნდობა. ჩვენი პოლიტიკა ხარისხის სფეროში მიმართულია დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისად სამშენებლო სამუშაოების, რესურსების და პროცესების მუდმივი გაუმჯობესებისა და სრულყოფისაკენ, რათა ავამაღლოთ მომხმარებლის კმაყოფილების დონე.

შპს გზა პერმანენტულად აცნობს კომპანიაში დასაქმებულ პერსონალს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ მასალებს მუდმივი ეკოლოგიური კონტროლის სისტემის უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო და საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, თანამშრომლობს ყველა საზოგადოებრივ სექტორთან გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირების მიზნით. კომპანიის ძირითადი პრინციპია ენერგიის ყაირათიანი ხარჯვა, ბუნებრივი რესურსის სწორი მოხმარება, საწარმოო ნარჩენების შემცირება, მათი გადამუშავება და ხელახალი გამოყენება ეროვნული ეკონომიკის ინტერესთა დაცვის მიზნით. ეს კი თავის მხრივ გულისხმობს ტექნოლოგიის – ეკონომიკის – ეკოლოგიის ინტეგრაციას.

კომპანია იცავს ყველა არსებულ წესსა და კანონს კომპანიის ყველაზე ძვირფასი რესურსის - თანამშრომლების შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ყოველ ღონეს ხმარობს უბედურ შემთხვევათა მინიმუმამდე დასაყვანად და შესაბამისად შრომითი ეფექტურობის, ხარისხისა და ნაყოფიერების ასამაღლებლად. მომსახურე პერსონალს უზრუნველყოფს სათანადო ინფორმაციით აღნიშნულ სფეროში თანამდებობრივ პასუხიმგებლობებთან დაკავშირებით, შესაბამისი ტრენინგების მოწყობის გზით. ხელმძღვანელობს სლოგანით " არცერთი უბედური შემთხვევა" და ყოველ ღონეს ხმარობს პერსონალის შესაძლო რისკის თავიდან ასაცილებლად, რისთვისაც უზრუნველყოფს ჯანმრთელ და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უკლებლივ ყველა თანამშრომლისათვის. შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად ყოველწლიურად დაისახავს ახალ მიზნებს და შეიმუშავებს ახალ გეგმებს.

პერსონალის თითოეული წევრის კომპეტენტურობა განისაზღვრება პროფესიონალური მომზადების, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დონით. შრომისუნარიანობის შეფასების შემდეგ ისახება მუშაკთა შესაძლებლობათა ზრდის გეგმა. ხოლო მათი პროფესიული დონის ამაღლების მიზნით, ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიები რეგულარულად აწყობენ სხვადასხვა სახის ტრეინინგებს მენეჯერების, ინჟინრების, ოსტატებისა და ოპერატორებისათვის. სამუშაო ობიექტზე შპს. “გზა” იღებს ყველა საჭირო ზომას რათა უზრუნველყოს შრომის ჰიგიენა და უსაფრთხოება, თავიდან აიცილოს შესაძლო ზარალი და/ან რისკი, უბედური შემთხვევები და პროფესიონალური დაავადებანი, რაც მუდმივად თან ახლავს სამშენებლო საქმიანობას. თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად და შესაძლო უბედური შემთხვევების აღმოსაფხვრელად ტარდება ტრეინინგები ისეთ თემებზე, როგორიცაა დამცავი-სამაშველო აღჭურვილობა, პირველადი დახმარება, უსაფრთხოების ნიშნები, ავარიული სიტუაციები, ფეთქებად ნივთიერებებთან მუშაობა და სხვა. თანამშრომელთა ნორმალური ფიზიკური და ფსიქიური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად ეწყობა სხვადასხვა სპორტული და საზოგადოებრივი ღონისძიებები. ტრეინინგების გავლის საშუალება ეძლევათ უნივერსიტეტის სტუდენტებსაც, ხოლო მათ შორის წარმატებულნი ჯილდოვდებიან ადგილობრივი და საერთაშორისო სტიპენდიებით. შესაბამისი ტრეინინგის გავლის შემდეგ მონაწილეები პრაქტიკაში იყენებენ შეძენილ უნარ-ჩვევებს

წარმატებები, რომელიც მიღწეულია საწარმოში ერთად მომუშავე გამოცდილი პროფესიული კადრების დამსახურებაა, თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განახლებისთვის გადავდგით ნაბიჯი ახალგაზრდებთან მიმართებაში, რომლებიც უკვე წლებია ჩვენთან ერთად საქმიანობენ და თეორიულ ცოდნასთან ერთად იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას.

## საზოგადოების მართვა/საზოგადოების კრება

საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას პარტნიორთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

## საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი. საზოგადოების დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით 2006 წლის 7 მარტის პარტნიორთა კრების ოქმით დირექტორად არჩეულ იქნა მალხაზ დუმბაძე დაბადებული 25.08.1967, საქართველოს მოქალაქე.

## მართვის სტრუქტურა

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული

ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

დირექტორი საზოგადოების მართვას ახორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით.




## საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავის დროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- სატრანსპორტო საშუალებების პარკის განახლება;

<u>მიმდინარე გეგმები:</u>

- საზოგადოება გეგმავს მონაწილეობა მიიღოს აჭარის რეგიონში განსახორციელებელ რამდენიმე პროექტში

<u>განვითარების რესურსები:</u>

- გაგვაჩნია საკმარისი ტექნიკა საგზაო-სამშენებლო სამუშაოებისათვის.
- გვაქვს ძირითადი მასალების საკმაოდ დიდი მარაგი.
-
- წარმოებაში ვიყენებთ ინოვაციურ მეთოდებს.

სამუშაოებისთვის საჭირო ყველა ნაკეთობას ვამზადებთ საკუთარ ბაზაზე.

საწარმო საქმიანობის მაღალხარისხოვნად შესრულებისთვის სისტემატიურად ახორციელებს ინვესტიციებს მანქანა-მექანიზმების შესაძენად. დღევანდელი მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მექანიზმები.

<u>მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადაიარაღების მიზნით, კერძოდ:</u>

- განახლდა ასფალტო/ბეტონის ქარხანა.
- განახლდა ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი სისტემა.
- სრულად განახლდა ასფალტის დამგები მანქანა.
- შეძენილი იქნა რამდენიმე ერთეული ექსკავატორი და ტრაქტორი.
- გაახლდა ავტოპარკი.
-

## სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს ადამიანურ რესურსების მართვის სამსახური.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიდა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავის ანაზღაურება. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას.

საწარმოს თანამშრომლებისთვის გვაქვს კორპორაციული დაზღვევა. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. კომპანიის მიზანი საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა.

საზოგადოება ითვალისწინებს, რომ ახალგაზრდობა წარმოადგენენ ქვეყნის სამუშაო ძალის სოლიდურ ნაწილს და ქვეყნის მომავალს, რომელთა სასტარტო სამუშაო პირობებზე დიდწილადაც დამოკიდებული მათი შემდგომი განვითარება და კვალიფიციურ პროფესიონალებად ჩამოყალიბება. ზრუნავს ახალგაზრდა თაობის დასაქმებაზე, აცხადებს ვაკანსიებს, ორ თვიანი სტაჟირების და გამოსაცდელი ვადის შემდეგ კი ხდება ახალგაზრდა კადრების შტატში აყვანა.

შპს „გზა“ მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

### გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლისა და თვით მონიტორინგს.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე.

## მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 1 ოქტომბერი.

### დირექტორი: მალხაზ დუმბაძე

ტელ: (+995)595223993

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

# „გზა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ბათუმი

2022

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გზა“

სარჩევი


ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და მართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე ..... 3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... 4
კონსოლიდირებული მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 7
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ..... 8
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება ..... 9
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ..... 10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები ..... 11-43

1. ზოგადი ინფორმაცია..... 11
2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი..... 11
3. სააღრიცხვო პოლიტიკა..... 13
4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები..... 19
5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები..... 20
6. ამონაგები..... 27
7. გაწეული მომსახურების თვითღირებულება..... 28
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები..... 28
9. არარეგულარული ხარჯები..... 28
10. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში..... 29
11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები..... 30
12. საინვესტიციო ქონება..... 32
13. მარაგი..... 32
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები..... 33
15. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები..... 34
16. სესხები..... 35
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები..... 38
18. პირობითი ვალდებულებები..... 38
19. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები..... 38
20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები..... 40
21. გუდვილი..... 41
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები..... 43
23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება..... 43

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გზა“**

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების და მართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „გზის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- ჯგუფის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

**ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მმართველობის ანგარიშგებაში ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მიხედვით.
- აგრეთვე მმართველობის ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის თანხვდენილობაზე აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 1 ოქტომბერს.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**

**დირექტორი**

2022 წლის 1 ოქტომბერი.

ბათუმი, საქართველო

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

## შპს „გზა“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

### მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “გზა“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“)კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს “გზა“-ს კონსოლიდირებული ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „გზისაგან“ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსსის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

## ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს “გზა“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს “გზა“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასსების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასსების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს ,,გზა“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს ,,გზა“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება „გზა“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნაგანმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს “გზა“-ს ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

## დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

• მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;

• შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

შპს „ინტელექტაუდიტის“ სახელით (რეგ. №SARASF583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. SARAS-A-516713)

1 ოქტომბერი 2022 წელი

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"**
**კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

| | შენიშვნები | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 6 | 25,888,132 | 49,536,855 |
| გაწეული მომსახურების თვითღირებულება | 7 | (28,340,506) | (42,400,715) |
| **საერთო მოგება** | | **(2,452,374)** | **7,136,140** |
| საიჯარო შემოსავლები | 6 | 266,645 | 229,827 |
| ქონების ექსპლუატაციის ხარჯები | 7 | (271,574) | (272,176) |
| **წმინდა საიჯარო შემოსავალი** | | **(4,929)** | **(42,349)** |
| **სხვა შემოსავალი** | 6 | 1,132,089 | 836,028 |
| მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები | | (144,707) | - |
| სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | 8 | (816,043) | (630,419) |
| არარეგულარული ხარჯები | 9 | (262,624) | (340,589) |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება** | | **(2,548,587)** | **6,958,811** |
| ფინანსური შემოსავალი | 16 | 315,340 | 46,373 |
| ფინანსური ხარჯი | 16 | (1,556,498) | (1,322,399) |
| მოგება ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან | | 10,322 | 14,984 |
| რისკიანი მოთხოვნების ხარჯი | 14 | (618,806) | (127,579) |
| წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში | 10 | (799,942) | 352,002 |
| მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან | | 1,295,233 | (2,241,169) |
| **მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | **(3,902,939)** | **3,681,023** |
| მოგების გადასახადი | | (198,245) | (519,752) |
| **გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის** | | **(4,101,184)** | **3,161,271** |
| **სათაო საწარმოს წილი** | | **(4,110,013)** | **4,857,179** |
| **არამაკონტროლებელი წილი** | | **8,829** | **(1,708,859)** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ზესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

11-43 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"**
**კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

| | შენიშვნები | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები | 11 | 16,899,592 | 17,789,907 |
| არამატერიალური აქტივი | 11 | 6,104 | 6,041 |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში | 10 | | 352,017 |
| საინვესტიციო ქონება | 12 | 16,500,588 | 16,628,055 |
| გუდვილი | 21 | 271,034 | 271,034 |
| გაცემული გრძელვადიანი სესხები | 16 | - | 1,996,000 |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **33,677,317** | **37,043,054** |
| **მიმდინარე აქტივები** | | | |
| მარაგები | 13 | 8,782,038 | 8,668,489 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 14 | 15,941,191 | 14,287,083 |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები | 15 | 65,888 | 1,336,540 |
| გაცემული გრძელვადიანი სესხების მიმდინარე წილი | 16 | 4,706,514 | 46,373 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | 135,195 | 117,872 |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | **29,630,826** | **24,456,357** |
| **სულ აქტივები:** | | **63,308,143** | **61,499,410** |
| **საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | | |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 686,082 | 61,087 |
| გაუნაწილებელი მოგება_ზარალი | | 20,604,189 | 25,819,465 |
| **მთლიანი კაპიტალი** | | **21,290,271** | **25,880,552** |
| არა მაკონტროლებელი პაკეტის მფლობელები | | 3,108,198 | 3,099,369 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **24,398,469** | **28,979,922** |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | |
| მიღებული გრძელვადიანი სესხები | 16 | 16,911,545 | 20,112,730 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | **16,911,545** | **20,112,730** |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 17 | 9,471,485 | 7,878,937 |
| მიღებული გრძელვადიანი სესხების მიმდინარე წილი | 16 | 10,566,915 | 1,985,167 |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში | 10 | 447,926 | - |
| თანამშრომელთა ვალდებულებები | 17 | 483,393 | 392,914 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | 1,028,411 | 2,149,739 |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **21,998,130** | **12,406,758** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | **63,308,143** | **61,499,410** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

11-43 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"**
**კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*(ქართულ ლარში)*

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება-ზარალი | არამაკონტროლებელი წილი | სულ |
|---|---|---|---|---|
| **31.12.2019 ნაშთი** | **46,672** | **23,907,549** | **4,808,228** | **28,762,449** |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება | 14,415 | - | | **14,415** |
| დივიდენდის განაწილება | - | (2,945,263) | | **(2,945,263)** |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი | - | 4,857,179 | (1,708,859) | **3,148,321** |
| **31.12.2020 ნაშთი** | **61,087** | **25,819,465** | **3,099,369** | **28,979,922** |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება | 624,995 | - | | **624,995** |
| დივიდენდის განაწილება | - | (1,105,263) | | **(1,105,263)** |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი | - | (4,110,013) | 8,829 | **(4,101,184)** |
| **31.12.2021 ნაშთი** | **686,082** | **20,604,189** | **3,108,198** | **24,398,469** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

11-43 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"**
**კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები | 33,178,160 | 60,985,661 |
| საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები | (25,054,701) | (36,144,314) |
| დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები | (6,728,333) | (7,877,618) |
| გადახდილი გადასახადები | (4,803,438) | (6,775,806) |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | **(3,408,312)** | **10,187,923** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები | (1,008,390) | (2,697,159) |
| ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები | 153,000 | 18,945 |
| **საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | **(855,390)** | **(2,678,214)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | |
| სესხის აღება | 10,228,084 | 10,718,837 |
| გადახდილი სესხები | (4,337,871) | (12,235,073) |
| სესხის გაცემა | (2,358,759) | (1,996,000) |
| დამფუძნებლის მიერ კაპიტალის ზრდა/შემცირება | 618,597 | 114,400 |
| დივიდენდის განაწილება | (1,050,000) | (2,798,000) |
| უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი | (107,001) | (191,705) |
| **საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | **2,993,050** | **(6,387,542)** |
| **ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)** | **(1,270,652)** | **1,122,167** |
| **ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის** | **1,336,540** | **214,373** |
| **ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის** | **65,888** | **1,336,540** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დაჭითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"**
**ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ,,გზა" წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში. რეგისტრირებულია ბათუმის რ-ნის სასამართლო მიერ 03.02.2005 წ. მისამართი ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ., №51, ბინა 1. საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი 245525132.

შპს ,,გზა"-ს ძირითადი საქმიანობაა გზების და ავტობანების მშენებლობა; სხვა საინჟინრო მოწყობილობების დაყენება.

შპს ,,გზა"-ს პარტნიორია ფიზიკური პირი - გიორგი ჭყონია (პ/ნ 61001002082) (100%). საწარმოს ჰყავს შვილობილი საწარმო შპს ბათუმი ცენტრალი (ს/ნ 445386172), რომელშიც მაკონტროლებელი წილი 55% შეიძინა 2019 წლის 6 მაისს.

2020 წლის 08 ივნისს შპს ,,ბათუმი ცენტრალი"-მა დააფუძნა შპს ,,თაუერ ჯგუფი" (ს/ნ 445580666) 100%-იანი წილის მფლობელობით.

შპს ,,თაუერ ჯგუფი"-მა უნდა განახორციელოს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ბინების მშენებლობა, შპს ბათუმი ცენტრალიდან საწესდებო კაპიტალში შეტანილ მიწის ნაკვეთზე, მისამათი საქართველო, ბათუმი ოდისეი დიმიტრიადის ქ#3-ში.

შპს ბათუმი ცენტრალის ძირითადი საქმიანობაა: არასაცხოვრებელი (კომერციული) ფართების გაქირავება (საოჯარო მომსახურების გაწევა), იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, ბათუმი ოდისეი დიმიტრიადის ქ#3. საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი 445386172.

ჯგუფი ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, ჯგუფის სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შპს „გზა" ფლობს შპს ,,ჯივი პფაიფერ-გზა"-ს 33%, ასევე 2020 წლის 13 ოქტომბერს განახორციელა ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში და შეიძინა 34%-იანი წილი ,,ამხანაგობა გზა"-ში. ,,ამხანაგობა გზა" საქმიანობს საქართველოში, გზების და ავტობანების მშენებლობის; სხვა საინჟინრო მოწყობილობების დაყენების ბაზარზე.

მეკავშირე საწარმოში განხორციელებულ ინვესტიციაზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-10 შენიშვნაში.

2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**გიორგი დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

### გ) საოპერაციო გარემო

განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები, როგორიცაა, საქართველო, სწრაფ ცვლილებას განიცდის და მგრძნობიარეა გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიმართ. აღნიშნულის შედეგად, ოპერაციები საქართველოში შეიძლება ექვემდებარებოდეს გარკვეულ რისკებს, რომლებიც როგორც წესი, არაა დაკავშირებული განვითარებულ ბაზრებზე არსებულ რისკებთან. მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ წამოიწყო რიგი სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რომლებმაც დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის საერთო საინვესტიციო კლიმატზე.

### დ) უწყვეტობის პრინციპი

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად.

2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა Covid-19 პანდემია. პანდემიის გავლენის შეზღუდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, შეზღუდვები საერთაშორისო ფრენებზე და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ზომებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესებზე, მათ შორის, კომპანიის საქმიანობაზე. 2021 წელს საქართველოს ეკონომიკაში აღინიშნა დადებითი დინამიკა პანდემიიდან აღდგენის კუთხით. ამას დაერთო მსოფლიო ეკონომიკის აღდგენა და ფასების ზრდა მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე. თუმცა საქართველოსა და მსოფლიოში გარკვეულ ბაზრებზე მაღალი ფასების არსებობა განაპირობებს ინფლაციას საქართველოში. კომპანიის მმართველობამ გადადგა შესაბამისი ნაბიჯები, რათა შეემცირებინა პანდემიის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. ადმინისტრაციული სამსახური გადავიდა დისტანციურ რეჟიმში, ხოლო საწარმოში საოპერაციო პროცესი შენარჩუნებული იყო ყველა წესის დაცვით. ყოველივე ხსენებულის გათვალისწინებით კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა კომპანიაზე შემცირდა.

მმართველობას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა ის განვითარება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბიზნეს სექტორზე და ფართო ეკონომიკაზე და, შესაბამისად, რა გავლენას მოახდენენ ისინი კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მმართველობა მიიჩნევს, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

არსებული სამუშაო გარემოს შემდგომი განახლებებისთვის იხილეთ მე-22-ე შენიშვნა.

### 2.2. კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება შპს გზისა და მისი შვილობილი კომპანიების შპს ბათუმი ცენტრალის და შპს „თაუერ ჯგუფი"-ს ფინანსური ანგარიშგებისაგან. იგი ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა ჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

შპს ბათუმი ცენტრალი საქმიანობას ახორციელებს ქ. ბათუმში ოდისეი დიმიტრიადის ქ #3-ში.

| სახელწოდება | ძირითადი საქმიანობა | რეგისტრაციის და საქმიანობის | ფლობილი წილი/ხმის უფლების მქონე წილი (%) |
|---|---|---|---|

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

| | | | ადგილი | 31/12/2020 | 31/12/2019 | 1/1/2019 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შპს ბათუმი ცენტრალი | საიჯარო მომსახურების გაწევა | საქართველო | 55% | 55% | 0% |
| 2 | შპს ,,თაუერ ჯგუფი" | მშენებლობა | საქართველო | 100% | 0% | 0% |

## 2.3. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები

### კონსოლიდაციის პრინციპები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად:

ა) გაერთიანებულია შპს ,,გზი"-სა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგება მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;

გ) გამორიცხულია შვილობილ საწარმოში შპს ,,გზა"-ს მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება შვილობილი საწარმოების საკუთარ კაპიტალში;

გ) შეფასებული და ასახულია არამაკონტროლებელი წილი, კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოების საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში, შპს ,,გზი"-ს წილისგან განცალკევებით;

(დ) შეფასებული და ასახულია არამაკონტროლებელი წილი კონსოლიდირებული შვილობილ საწარმოების წმინდა აქტივებში, შპს ,,გზი"-ს წილისაგან განცალკევებით.

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

### ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

**ზესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"**
**ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში)*

საიჯარო შემოსავალი

ჯგუფი შემოსავალს იღებს საოპერაციო იჯარაში მეიჯარედ მონაწილეობიდან. საინვესტიციო ქონების საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას და ხელშეკრულების გაფორმებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლისა

შემოსავალი მომსახურების საკომისიოდან და მოიჯარეებისგან ამოღებადი ხარჯები

საინვესტიციო ქონების შემთხვევაში, რომლის ფლობის მიზანიც იჯარიდან შემოსავლის მიღებაა, ჯგუფი საიჯარო ხელშეკრულებას აფორმებს, როგორც მეიჯარე, რომელიც წარმოადგენს საოპერაციო იჯარას. ეს ხელშეკრულებები შეიცავს მოიჯარეებისთვის (ანუ, კლიენტებისთვის) გარკვეული მომსახურებების გაწევას, მათ შორის ადმინისტრაციული მომსახურებისაც, როგორიცაა დასუფთავება, დაცვა-უსაფრთხოება და სხვა. ჯგუფი გაწეული მომსახურებისთვის კლიენტებს ფიქსირებულ გადასახადს უწესებს. ამგვარი მომსახურებებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე. შემოსავალი მომსახურების საკომისიოდან და სხვა მსგავსი შემოსულობა აისახება შესაბამისი თვითღირებულებების მთლიან ოდენობაში შემოსავლის ნაწილში იმდენად, რამდენადაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფი ამ შემთხვევაში მოქმედებს როგორც პრინციპალი.

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მისი დარიცხვისას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი აისახება მოგებაში ან ზარ შემოსავლების ნაწილში.

ფინანსური ინსტრუმენტები

გაცემული სესხები

გაცემულ გრძელვადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

გაცემულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით გაუფასურების გამოკლებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაქირავებული პირისთვის (რომელიმე დაკავშირებული მხარეთათვის) უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიცემიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"**
**ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

### სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

### სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციები

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია ფასდება თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

### სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადა-სახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

### სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**გვანცა დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"**
**ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში)*

გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც ჯგუფი მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

| | |
|---|---|
| შენობა–ნაგებობები | 40-50 |
| მანქანა-დანადგარები | 10-20 |
| საოფისე აღჭურვილობა | 10-20 |
| ავეჯი და მოწყობილობები | 10-20 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 10-20 |

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

### მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით)იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

### საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების შეფასება ხდება რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საინვესტიციო ქონება მოიცავს საიჯარო შემოსავლის მისაღებად ფლობილ ფართებს.

საინვესტიციო ქონებაში გადატანები ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იცვლება ექსპლუატაციის ხასიათი, მაგალითად, საოპერაციო იჯარის გაფორმებით (ან მყარი ვალდებულების აღებით, რომ გაფორმდება საოპერაციო იჯარა). საინვესტიციო ქონებიდან უძრავ ქონებაში გადატანები ხდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იცვლება ექსპლუატაციის ხასიათი, რაც დასტურდება გაყიდვის მიზნით ქონების განვითარების დაწყებით.

### იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

### ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ანარიცხების დაკორექტირება, რათა მათში ასახული იყოს იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით. ანარიცხების აღიარების და კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"**
**ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში)*

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც ჯგუფი ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ზვიკ დვითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა" ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ჯგუფი აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ლია დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"**
**ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება.

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებით. განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არა არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია მე-20 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ ჯგუფს. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

## 5. გამოცემული ახალი ან რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები

**ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები**

**COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობაზე ფასს 16-ში შეტანილი ცვლილება, რომელიც გამოიცა 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდეგ.**

ეს შესწორება მოიჯარეს აძლევს შეღავათს, არჩევითი გათავისუფლების სახით იმის შეფასებისგან, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ საიჯარო ქირის დათმობის აღრიცხვა ისე აწარმოონ, თითქოს ისინი არ წარმოადგენდეს იჯარის მოდიფიკაციას. პრაქტიკული მიზანშეწონილობა ვრცელდება მხოლოდ საიჯარო ქირის დათმობებზე, რომლებიც წარმოიქმნება, როგორც COVID-19 პანდემიის პირდაპირი შედეგი და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: იჯარის გადასახადების ცვლილებას შედეგად მოჰყვა იჯარის საზღაურის გადახედვა, რომელიც არსებითად იგივეა, ან ნაკლები, ვიდრე იჯარის საზღაური, რომელიც უშუალოდ ცვლილებამდე არსებობდა; იჯარის გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე; და იჯარის სხვა პირობებში არ ხორციელდება არსებითი ცვლილება.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

**ბესარიონ ბავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"**
**ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

2020 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდეგი შესწორებული სტანდარტები, თუმცა მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფის საქმიანობაზე: .

- ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა-ფასს 9, ასს 39 და ფასს 7-ში შეტანილი შესწორებები (გამოშვებული 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შესული იმ წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ).

**ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც ჯგუფმა ნაადრევად არ შემოიღო არის შემდეგი:**

**ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასსს-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).**

ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად ჯგუფი ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

**ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).**

ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

**2022 წლის 1 ოქტომბერი**
**ბათუმი, საქართველო**

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"**
**ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

**ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად – ცვლილებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**

ამ მცირე მასშტაბის ცვლილებებით განმარტებულია, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულება გრძელვადიანია, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს აქვს არსებითი უფლება, რომ ვალდებულების დაფარვა გადაავადოს სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებებით აღარ მოითხოვება, რომ მსგავსი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის თაობაზე, საბოლოოდ გამოიყენებენ თუ არა ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო ყველა შესაბამის პირობას აკმაყოფილებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, თუ რომელიმე პირობა დაირღვევა საანგარიშგებო თარიღით ან მანამდე, თუნდაც ამ პირობაზე უარი მომდინარეობდეს გამსესხებლისგან, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. ამასთან, ცვლილებები მოიცავს იმ ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალში კონვერტირებით.

„დაფარვა" განმარტებულია, როგორც ვალდებულების აღმოფხვრა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებშიც ეკონომიკური სარგებელია განივთებული, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. გამონაკლისი არსებობს კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კაპიტალში კონვერტირდეს, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ბასს 1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ).**

ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID -19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**შემოსულობა გამიზნულ გამოყენებამდე; წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები, მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირემასშტაბიანი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-სა და ფასს 3-ში, და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები, 2018-2020 – ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**

ბასს 16-ში ცვლილებით აკრძალულია საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოქვითვა, რომელიც მიღებულია ისეთი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომელთაც საწარმო გამიზნული დანიშნულებით ამზადებს. მსგავსი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, მოგება-ზარალში აღიარდება. საწარმო ბასს 2-ს გამოიყენებს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ შეიცავს იმ აქტივის ცვეთას, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს, რადგან ის მზად არ არის გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის. ბასს 16-ში ცვლილებით ასევე განმარტებულია, რომ აქტივის ტექნიკური და ფიზიკური შედეგების შეფასებისას საწარმო „ახორციელებს

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

ტესტირებას, რათა დაადგინოს აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა". აქტივის ფინანსური შედეგები შეუსაბამოა ამ შეფასებისთვის. ამგვარად, აქტივი შეიძლება ვარგისი იყოს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის და მას ცვეთა ერიცხებოდეთ მანამ, სანამ ის მიაღწევს საოპერაციო შედეგების დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მოელის.

ბასს 37-ში ცვლილებით განმარტებულია „ხელშეკრულების შესრულების დანახარჯების" მნიშვნელობა. ახსნილია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს; ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების განაწილებას. ცვლილებაში განმარტებულია ასევე, რომ წამგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხის გაკეთებამდე საწარმო აღიარებს იმ აქტივების გაუფასურების ზარალს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, ნაცვლად ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივებისა.

ფასს 3-ში ცვლილება შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან მიმართებით, რათა განისაზღვროს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამასთან, ფასს 3-ს ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის.

გამონაკლისი გულისხმობს, რომ საწარმომ, რომელიც ფასს 3-ს იყენებს, ზოგიერთი სახის ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21, ნაცვლად 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო ისეთ ვალდებულებებს აღიარებდა საწარმოთა გაერთიანებაში, რომლებსაც ის არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარად, საწარმოს შეძენისთანავე მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც ეკონომიკურ შემოსულობას არ წარმოადგენს. ამასთან, განმარტებულია, რომ შემძენმა პირობითი აქტივები არ უნდა აღიაროს შეძენის თარიღით, როგორც ბასს 37-ში არის განმარტებული.

ფასს 9-ში შეტანილი ცვლილება ეხება იმის განსაზღვრას, რომელიც საზღაური უნდა შევიდეს ფინანსური ვალდებულებების აღიარებისთვის ჩატარებულ 10%-ის ტესტში. ღირებულება ან საზღაური შეიძლება გადახდილ იქნეს მესამე მხარის ან გამსესხებლისთვის. ამ ცვლილების მიხედვით მესამე მხარისთვის გადახდილი ღირებულება ან საზღაური არ უნდა შევიდეს აღნიშნული 10%-ის ტესტში.

ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზეზია იჯარის სტიმულირების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა.

ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს ფასს-ებს. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შეძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეეფასებინათ ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომღებთა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას.

**შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის).**

შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად , ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-ისთვის:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება: საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე: დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების" ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.
- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში;

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის აგვისტოში და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**

მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლა. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- IBOR– ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა: ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს , რომ საწარმოებმა, გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ მოიჯარეებსაც.
- ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არა სახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი: მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არა სახელშეკრულებო, ან არა სახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება . რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან: მე -2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გზა"**
**ახსნა განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე**
**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**
*( ქართულ ლარში )*

IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე).**

ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება" ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).**

ბასს 8- ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები – ფასს 16-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**

2020 წლის მაისში გამოიცა ფასს 16-ის შესწორებები, რომელიც მოიცავდა არასავალდებულო პრაქტიკულ მიზანშეწონილობებს მოიჯარეებისათვის, რათა შეეფასებინათ Covid19-თან დაკავშირებული იჯარის დათმობები, რამაც გამოიწვია 2021 წლის 30 ივნისისთვის/ივნისამდე გადასახდელი საიჯარო გადახდების შემცირება, არის თუ არა იჯარის მოდიფიკაცია. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ გაახანგრძლივა პრაქტიკული მიზანშეწონილობების ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე

**გადავადებული გადასახადი დაკავშირებული აქტივებსა და ვალდებულებებთან რომლებიც წარმოიქმნება ერთი ოპერაციისგან - ბასს 12-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

11-43 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ბასს 12-ის შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა გარიგებებზე, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. უწინ, იყო გაურკვევლობა იმის თაობაზე, თავისუფლდებოდა თუ არა ისეთ გარიგებები, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები - გარიგებები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, გათავისუფლება არ ვრცელდება და სუბიექტები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობენ დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე

## 6. ამონაგები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| შემოსავალი საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან | 25,772,522 | 49,523,203 |
| ტექნიკის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი | 115,610 | 13,653 |
| **სულ შემოსავალი რეალიზაციიდან** | **25,888,132** | **49,536,855** |

ამონაგებში საიჯარო შემოსავლები შედგება მანქანა დანადგარების და ავტომობილების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლისგან.

### საიჯარო შემოსავლები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| საიჯარო შემოსავლები | 266,645 | 229,827 |
| **სულ შემოსავალი რეალიზაციიდან** | **266,645** | **229,827** |

ჯგუფის იჯარების უმრავლესობა აშშ დოლარშია განფასებული, ხოლო საიჯარო ვადა სამი თვიდან 3 წლამდე მერყეობს.

### სხვა შემოსავალი

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| კრედიტორული დავალიანების შემოსავალში აღიარება | 859,377 | 749,786 |
| მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტობა | 215,376 | 25,117 |
| სხვა შემოსავალი | 57,336 | 61,125 |
| **სულ სხვა შემოსავალი** | **1,132,089** | **836,028** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

## 7. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოები | 9,390,007 | 13,627,543 |
| ნედლეული და მასალები | 8,411,854 | 14,769,989 |
| შრომის ანაზღაურება | 8,233,504 | 10,376,799 |
| ცვეთა | 932,978 | 868,898 |
| სატრანსპორტო მომსახურება | 719,843 | 1,923,367 |
| სხვა მომსახურებები | 208,026 | 155,834 |
| კომუნალური ხარჯები | 200,053 | 351,091 |
| ძირითადი საშ მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები | 187,751 | 233,929 |
| სადაზღვევო ხარჯი | 56,492 | 93,264 |
| **სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება** | **28,340,506** | **42,400,715** |

### ქონების ექსპლუატაციის ხარჯები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ცვეთის ხარჯი | 140,727 | 140,614 |
| შრომის ანაზღაურება | 97,418 | 92,569 |
| კომუნალური ხარჯები | 23,592 | 23,315 |
| მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები | 9,838 | 15,678 |
| **სულ** | **271,574** | **272,176** |

## 8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ადმინისტრაციის ხელფასი | 431,156 | 187,682 |
| საგადასახადო ხარჯი | 211,285 | 219,777 |
| იურიდიული აუდიტორული მომსახურების ხარჯი | 75,048 | 114,116 |
| კომუნიკაციის ხარჯი | 55,315 | 43,578 |
| საოფისე ხარჯი | 26,580 | 40,159 |
| დაზღვევა | 8,028 | 4,290 |
| სერტიფიცირების ხარჯი | 5,034 | 11,693 |
| სხვა | 2,551 | 4,335 |
| არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია | 1,045 | 2,255 |
| დაცვის ხარჯი | - | 2,534 |
| **სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები** | **816,042** | **630,419** |

## 9. არარეგულარული ხარჯები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| სხვა არარეგულარული ხარჯი | 91,062 | 7,579 |
| გარანტიის საკომისიო | 79,587 | 204,620 |
| საქველმოქმედო ხარჯი | 40,506 | 75,521 |
| ბანკის საკომისიო | 15,848 | 19,564 |
| ჯარიმა საურავები | 12,753 | 11,832 |
| სარეკლამო ხარჯი | 9,980 | 68 |
| მოსაკრებელი | 7,648 | 5,776 |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

| | | |
|---|---|---|
| საჯარო დაწესებულებების მომსახურება | 4,071 | 12,541 |
| საფოსტო მომსახურება | 1,170 | 3,089 |
| **სულ არარეგულარული ხარჯები** | **262,624** | **340,589** |

## 10. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

შპს „გზა"-მ 2020 წლის 13 ოქტომბერს განახორციელა ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში და შეიძინა 34%-იანი წილი ,,ამხანაგობა გზა"-ში.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი** | - |
| ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში | 15.00 |
| მეკავშირე საწარმოს პერიოდის შედეგში ინვესტორის წილი | 352,002 |
| მეკავშირე საწარმოდან დივიდენდის გატანა | - |
| **ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი** | **352,017** |
| მეკავშირე საწარმოს პერიოდის შედეგში ინვესტორის წილი | (799,942) |
| მეკავშირე საწარმოდან დივიდენდის გატანა | - |
| **ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი** | **(447,926)** |

2021-2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში მეკავშირე საწარმოებიდან დივიდენდის განაწილება არ მომხდარა

მეკავშირე საწარმოს ფინანსური ინფორმაცია 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| მიმდინარე აქტივები | 2,188,083 | 4,977,534 |
| გრძელვადიანი აქტივები | 122,085 | 45,123 |
| **სულ აქტივები** | **2,310,168** | **5,022,657** |
| | | |
| მიმდინარე ვალდებულებები | 3627543 | 3,987,313 |
| კაპიტალი | 45 | 45 |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | **3,627,588** | **3,987,358** |
| | | |
| შემოსავალი | 6,482,544 | 1,310,128 |
| ხარჯები | (8,835,263) | (274,828) |
| **წლის წმინდა მოგება** | **(2,352,719)** | **1,035,300** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

## 11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

| | მიწის ნაკვეთები | შენობა ნაგებობები | მანქანა-დანადგარები | ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა) | კავშირგაბმულობის საშუალებები | ავეჯი და სხვა ინვენტარი | სატრანსპორტო საშუალებები | არამატერიალური აქტივები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *საბალანსო ღირებულება* | | | | | | | | | |
| **დეკემბერი 31, 2019** | 1,417,730 | 2,091,509 | 5,694,973 | 519,398 | 158,629 | 399,122 | 12,455,125 | 15,373 | 22,751,859 |
| მატება | 4,617,817 | 766,678 | 113,895 | 144,159 | 7,265 | 63,177 | 1,967,188 | - | 7,680,179 |
| კლება | - | - | (18,424) | (673) | (342) | (53,418) | (55,636) | - | (128,493) |
| **დეკემბერი 31, 2020** | 6,035,548 | 2,858,187 | 5,790,444 | 662,883 | 165,552 | 408,881 | 14,366,677 | 15,373 | 30,303,545 |
| მატება | | 65,045 | 445,784 | 33,572 | 4,790 | 194,047 | 297,385 | 1,271 | 1,041,894 |
| კლება | | (771,025) | (154,690) | (30,119) | - | (2,329) | (272,146) | - | (1,230,310) |
| **დეკემბერი 31, 2021** | 6,035,548 | 2,152,207 | 6,081,538 | 666,336 | 170,342 | 600,599 | 14,391,916 | 16,644 | 30,115,129 |
| *დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება* | | | | | | | | | - |
| **დეკემბერი 31, 2019** | - | (470,904) | (3,074,229) | (166,100) | (35,889) | (230,367) | (7,729,493) | (7,076) | (11,714,059) |
| მიმდინარე წლის ცვეთა | - | (63,489) | (314,567) | (48,923) | (9,399) | (32,918) | (434,972) | (2,255) | (906,524) |
| ცვეთის ამობრუნება | - | - | 18,447 | 673 | 342 | 53,418 | 40,106 | - | 112,986 |
| **დეკემბერი 31, 2020** | - | (534,393) | (3,370,349) | (214,350) | (44,946) | (209,867) | (8,124,358) | (9,332) | (12,507,597) |
| მიმდინარე წლის ცვეთა | - | (42,718) | (341,193) | (57,408) | (10,526) | (38,945) | (460,894) | (1,209) | (952,893) |
| ცვეთის ამობრუნება | - | 15,601 | 114,023 | 19,682 | - | 174 | 101,576 | - | 251,056 |
| **დეკემბერი 31, 2021** | - | (561,510) | (3,597,519) | (252,076) | (55,473) | (248,639) | (8,483,677) | (10,541) | (13,209,434) |
| *ნარჩენი ღირებულება* | | | | | | | | | - |
| **დეკემბერი 31, 2019** | 1,417,730 | 1,620,605 | 2,620,744 | 353,297 | 122,739 | 168,755 | 4,725,632 | 8,297 | 11,037,800 |
| **დეკემბერი 31, 2020** | 6,035,548 | 2,323,794 | 2,420,095 | 448,533 | 120,605 | 199,013 | 6,242,319 | 6,041 | 17,795,948 |
| **დეკემბერი 31, 2021** | 6,035,548 | 1,590,696 | 2,484,019 | 414,260 | 114,869 | 351,960 | 5,908,240 | 6,104 | 16,905,696 |

ხელმძღვანელობის სახელით:

მალხაზ დუმბაძე
დირექტორი

ბესიკ დავითაძე
მთ. ბუღალტერი

2022 წლის 1 ოქტომბერი
ზათუმი, საქართველო

მიწის ნაკვეთები, შენობა ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები იპოთეკით არის დატვირთული და დაგირავებული ბანკის სესხების უზრუნველსაყოფად

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნუ-ლების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რიის ვალდებულებაც ჯგუფმა აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ მანქანა-დანადგარის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის **1** ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

12. საინვესტიციო ქონება

| | მიწა | შენობა | სულ |
|---|---|---|---|
| აფასებული ღირებულება | | | |
| **დეკემბერი 31, 2019** | 12,222,105 | 9,867,015 | 22,089,120 |
| მატება | - | 437,364 | **437,364** |
| საინვესტიციო ქონებიდან ძირითად საშუალებებში გადატანა (შენიშვნა 11) | (4,617,817) | (765,025) | **(5,382,842)** |
| **დეკემბერი 31, 2020** | **7,604,288** | **9,539,354** | **17,143,642** |
| მატება | - | - | **437,364** |
| საინვესტიციო ქონებიდან ძირითად საშუალებებში გადატანა (შენიშვნა 11) | - | - | **(5,382,842)** |
| **დეკემბერი 31, 2021** | **7,604,288** | **9,539,354** | **17,143,642** |
| *დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება* | | | - |
| **დეკემბერი 31, 2019** | - | **(388,525)** | **(388,525)** |
| მიმდინარე წლის ცვეთა | - | (127,062) | **(127,062)** |
| ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე | | | - |
| **დეკემბერი 31, 2020** | - | **(515,587)** | **(515,587)** |
| მიმდინარე წლის ცვეთა | - | (127,467) | **(127,467)** |
| ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე | | | - |
| **დეკემბერი 31, 2021** | - | **(643,054)** | **(2,281,134)** |
| *წარჩენი ღირებულება* | | | |
| **დეკემბერი 31, 2019** | 12,222,105 | 9,478,490 | 21,700,595 |
| **დეკემბერი 31, 2020** | 7,604,288 | 9,023,768 | 16,628,055 |
| **დეკემბერი 31, 2021** | 7,604,288 | 8,896,300 | 16,500,588 |

საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის შემდგარი ჩვეულებრივი გარიგების პირობებში. დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ საინვესტიციო ქონებისა და მშენებარე საინვესტიციო ქონების ბოლო შეფასების თარიღია 2019 წლის 6 მაისი. შეფასება ჩაატარა აკრედიტებულმა დამოუკიდებელმა შემფასებელმა, რომელსაც აქვს აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ასევე აქვს გამოცდილება შესაფასებელი საინვესტიციო ქონების ანალოგიური კატეგორიისა და ადგილმდებარეობის ქონების შეფასებაში. გამოყენებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდებული შეფასების მოდელები და შეფასება შეესაბამება ფასს 13-ის პრინციპებს. საინვესტიციო ქონების შეფასება მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეს.

საინვესტიციო ქონება იპოთეკით არის დატვირთული ბანკის სესხების უზრუნველსაყოფად

13. მარაგი

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ნედლეული და მასალები. | 8,413,745 | 8,251,013 |
| მზა პროდუქცია | 368,294 | 417,476 |
| **ჯამი** | **8,782,038** | **8,668,489** |
| პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება | 8,411,854 | 14,769,989 |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ზესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ზაათუმი, საქართველო

## 14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| სავაჭრო დებიტორები | 14,755,937 | 12,596,766 |
| გაუფასურების ზარალის თანხა | (2,723,235) | (2,109,206) |
| **სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება** | **12,032,702** | **10,487,560** |
| მ.შ. დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები | 5,375,631 | 1,758,381 |
| სხვა მხარეებისაგან მისაღები | 6,657,071 | 8,729,179 |
| წინასწარი გადახდები | 3,908,489 | 3,799,523 |
| **სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები** | **15,941,191** | **14,287,083** |

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად მომსახურების ვადის განმავლობაში ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებისა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი ეფუძნება კლიენტების გადახდების ანალიზს და შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაშია მიღებული. საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის განისაზღვრება ქვემოთ წარდგენილი რეზერვის მატრიცის მიხედვით. რეზერვის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას. ინდივიდუალური შეფასების მიდგომა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული სისტემით გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე და მსგავს ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე.

2021 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

| 2021 წელი | ზარალის განაკვეთი | ბრუტო საბალანსო ღირებულება | მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი | ნეტო საბალანსო ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები** | | | | |
| მიმდინარე | 0% | 83,526 | - | 83,526 |
| 30 - 90 დღით ვადაგადაცილებული | 5% | 93,602 | 4,680 | 88,922 |
| 91 - 180 დღით ვადაგადაცილებული | 15% | 37,170 | 5,575 | 31,594 |
| 181 - 365 დღით ვადაგადაცილებული | 50% | 333,724 | 166,862 | 166,862 |
| 365-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული | 100% | 2,546,118 | 2,546,118 | - |
| ინდივიდუალური შეფასება | 0% | 11,661,799 | - | 11,661,799 |
| **სულ** | | **14,755,937** | **2,723,235** | **12,032,702** |

2020 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

| 2020 წელი | ზარალის განაკვეთი | ბრუტო საბალანსო ღირებულება | მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი | ნეტო საბალანსო ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები** | | | | |
| მიმდინარე | 0% | 556,106 | - | 556,106 |
| 30 - 90 დღით ვადაგადაცილებული | 5% | 7,946 | 397 | 7,549 |
| 91 - 180 დღით ვადაგადაცილებული | 15% | 18,371 | 2,756 | 15,616 |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ზვიად დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 181 - 365 დღით ვადაგადაცილებული | 50% | 46,851 | 23,426 | 23,426 |
| 365-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული | 100% | 2,082,628 | 2,082,628 | - |
| ინდივიდუალური შეფასება | 0% | 9,884,863 | - | 9,884,863 |
| **სულ** | | **12,596,766** | **2,109,206** | **10,487,560** |

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| **საკრედიტო ზარალის რეზერვი** | **2,109,206** | **1,980,287** |
| საკრედიტო ზარალის რეზერვი შემცირება | - | - |
| სულ ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი პერიოდის მოგება-ზარალში | 614,029 | 128,919 |
| **სულ საკრედიტო ზარალის რეზერვი** | **2,723,235** | **2,109,206** |

## 15. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ფულადი სახსრები სალაროში | 7,962 | 15,972 |
| ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე | 57,926 | 1,320,568 |
| **სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები** | **65,888** | **1,336,540** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

## 16. სესხები

### მიღებული სესხები

| სესხის ნომერი | | მოქმედების ვადა | | ვალუტა | წლიური პროცენტი | ნაშთი 31.12.2021 ვალუტა | ნაშთი 31.12.2021 ექვივალენტი | ნაშთი 31.12.2020 ვალუტა | ნაშთი 31.12.2020 ექვივალენტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხელშეკრულება N | 570-C14 | 07.05.2019 | 07.05.2029 | *USD* | 8% | 1,869,569 | 5,791,177 | 2,047,191 | 6,707,825 |
| ხელშეკრულება N | 570-C21 | 27.02.2020 | 05.10.2022 | *EUR* | 8% | 1,000,000 | 3,504,000 | 1,000,000 | 4,023,300 |
| ხელშეკრულება N | 570-C32 | 20.08.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 400,000 | 1,239,040 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C36 | 29.10.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 115,000 | 356,224 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C35 | 01.10.2021 | 05.10.2022 | *USD* | 8% | 260,000 | 805,376 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C34 | 30.09.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 180,000 | 557,568 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C33 | 16.09.2021 | 05.10.2022 | *USD* | 8% | 600,000 | 1,858,560 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C38 | 29.12.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 500,000 | 1,548,800 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C37 | 17.12.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 305,000 | 944,768 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C20 | 15.12.2021 | 25.01.2030 | *EUR* | 6% | 1,998,515 | 7,002,795 | 2,186,679 | 8,797,664 |
| ხელშეკრულება N | 570-C29 | 28.04.2021 | 25.07.2021 | *GEL* | 14% | - | 1,300,000 | - | - |
| ხელშეკრულება N | 29.11.2021 | 29.11.2021 | 29.01.2022 | *GEL* | 20% | - | 30,820 | - | - |
| სესხი დაკავშირებული მხარედან | 03.04.2019 | 03.04.2019 | 31.12.2025 | *USD* | 8% | 558,705 | 1,730,645 | 602,095 | 1,972,824 |
| სესხი დაკავშირებული მხარედან | 03.04.2019 | 03.04.2019 | 28.01.2021 | *GEL* | 9% | - | - | - | 10,000 |
| **გადასახდელი პროცენტები** | | | | | | | | | |
| ხელშეკრულება N | 570-C14 | 07.05.2019 | 07.05.2029 | *USD* | 8% | 9,841 | 30,484.81 | 10,782 | 35,328.83 |
| ხელშეკრულება N | 570-C21 | 27.02.2020 | 05.10.2022 | *EUR* | 8% | 3,616 | 12,672.01 | 3,616 | 14,550.02 |
| ხელშეკრულება N | 570-C32 | 20.08.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 2,055 | 6,364.95 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C36 | 29.10.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 567 | 1,756.71 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C35 | 01.10.2021 | 05.10.2022 | *USD* | 8% | 1,368 | 4,236.49 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C34 | 30.09.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 925 | 2,864.23 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C33 | 16.09.2021 | 05.10.2022 | *USD* | 8% | 3,156 | 9,776.55 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C38 | 29.12.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 205 | 636.49 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C37 | 17.12.2021 | 20.08.2026 | *USD* | libor 7.5-9% | 877 | 2,717.83 | - | - |
| ხელშეკრულება N | 570-C20 | 15.12.2021 | 25.01.2030 | *EUR* | 6% | 7,267 | 25,462 | 7,918 | 31,855 |
| ხელშეკრულება N | 570-C29 | 28.04.2021 | 25.07.2021 | *GEL* | 14% | - | 117,427 | - | - |
| ხელშეკრულება N | 29.11.2021 | 29.11.2021 | 29.01.2022 | *GEL* | 20% | - | 367 | - | - |
| სესხი დაკავშირებული მხარედან | 03.04.2019 | 03.04.2019 | 31.12.2025 | *USD* | 8% | 191,736 | 593,921 | 143,805 | 471,191 |
| სესხი დაკავშირებული მხარედან | 03.04.2019 | 03.04.2019 | 28.01.2021 | *GEL* | 9% | - | - | - | 33,359 |
| **სულ ნასესხები ფულადი სახსრები** | | | | | | | **27,478,460** | **6,002,085** | **22,097,897** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დვალიშვილი**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

ბანკებიდან აღებულ გრძელვადიან სესხების სანაცვლოდ იპოთეკით დატვირთულია ჯგუფის საინვესტიციო ქონება, მიწები, შენობა-ნაგებობები, დაგირავებულია ჯგუფის მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები.

ჯგუფს აქვს მიღებული სესხი დაკავშირებულ მხარედან. (შენიშვნა 20 ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან).

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული მიღებული სესხები:

| | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|
| მიღებული გრძ. სესხების მიმდ. ნაწილი | 10,566,916 | 1,985,166 |
| მიღებული გრძელვადიანი სესხები | 16,911,545 | 20,112,731 |
| | **27,478,460** | **22,097,897** |

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| საპროცენტო ხარჯები | 1,556,498 | 1,322,399 |
| **ჯამი** | **1,556,498** | **1,322,399** |

## გაცემული სესხები

| სესხის ნომერი | | მოქმედების ვადა | | ვალუტა | წლიური პროცენტი | ნაშთი 31.12.2021 ვალუტა | ნაშთი 31.12.2021 ექვივალენტი | ნაშთი 31.12.2020 ვალუტა | ნაშთი 31.12.2020 ექვივალენტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხელშეკრულება N | 09.09.2020 | 09.09.2020 | 31.12.2022 | *GEL* | 8% | - | 2,496,974 | - | 1,996,000 |
| ხელშეკრულება N | 16.07.2021 | 16.07.2021 | 31.12.2022 | *GEL* | 10% | - | 34,283 | - | - |
| ხელშეკრულება N | 01.09.2021 | 01.09.2021 | 31.12.2022 | *EUR* | 7% | 71,418 | 250,248 | - | - |
| ხელშეკრულება N | 17.12.2021 | 17.12.2021 | 31.12.2022 | *USD* | 8.5% | 85,000 | 263,296 | - | - |
| ხელშეკრულება N | 28.04.2021 | 28.04.2021 | 01.12.2022 | *GEL* | 15.0% | - | 1,300,000 | | |
| **გადასახდელი პროცენტები** | | | | | | | | | |
| ხელშეკრულება N | 09.09.2020 | 09.09.2020 | 31.12.2022 | *GEL* | 8% | - | 213,122 | - | 46,373 |
| ხელშეკრულება N | 16.07.2021 | 16.07.2021 | 31.12.2022 | *GEL* | 10% | - | 2,833 | - | - |
| ხელშეკრულება N | 01.09.2021 | 01.09.2021 | 31.12.2022 | *EUR* | 7% | 1,260 | 4,415 | - | - |
| ხელშეკრულება N | 17.12.2021 | 17.12.2021 | 31.12.2022 | *USD* | 8.5% | 278 | 861 | - | - |
| ხელშეკრულება N | 28.04.2021 | 28.04.2021 | 01.12.2022 | *GEL* | 15.0% | - | 140,481 | | |
| **სულ გაცემული ფულადი სახსრები** | | | | | | | **4,706,514** | | **2,042,373** |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

გაცემული სესხებიდან პროცენტის სახით მიღებულმა შემოსავალმა საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა:

| | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|
| გაცემული გრძ. სესხების მიმდ. ნაწილი | 4,706,514 | 46,373 |
| გაცემული გრძელვადიანი სესხები | - | 1,996,000 |
| | **4,706,514** | **2,042,373** |

გაცემულ სესხზე საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა:

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| ფინანსური შემოსავალი | 315,340 | 46,373 |
| **ჯამი** | **315,340** | **46,373** |

ჯგუფს აქვს გაცემული სესხი დაკავშირებულ მხარეებზე. (შენიშვნა 20) ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ზვსიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

## 17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| სავაჭრო ვალდებულებები | 3,347,942 | 1,721,156 |
| მ.შ. დაკავშირებული მხარეებისათვის გადასახდელი | 7,500 | 23,000 |
| სხვა მომწოდებლებისათვის გადასახდელი | 3,340,442 | 1,698,156 |
| საგარანტიო ანარიცხები | 20,502 | 10,568 |
| წინასწარ მიღებული თანხები | 6,103,040 | 6,147,213 |
| **სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები** | **9,471,484** | **7,878,937** |

### თანამშრომელთა ვალდებულებები

| | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| გადასახდელი ხელფასი | 327,147 | 223,795 |
| საპენსიო შენატანი | 156,246 | 169,119 |
| **სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები** | **483,393** | **392,914** |

## 18. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

*გარემოსდაცვითი საკითხები.* საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. ჯგუფის პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

## 19. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასო რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**გენრიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა:

| | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 65,888 | 1,336,540 |
| გაცემული სესხები | 4,706,514 | 2,042,373 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 15,941,191 | 14,287,083 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **20,713,593** | **17,665,996** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | |
| მიღებული სესხები | 27,478,460 | 22,097,897 |
| ვალდებულებები | 10,983,289 | 10,421,591 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **38,461,749** | **32,519,488** |

საკრედიტო რისკი.

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის საინვესტიციო და საოპერაციო გარიგებების შედეგად, რომელიც გულისხმობს ვადიანი დეპოზიტების განთავსებას, პროდუქციის საკრედიტო პირობებით რეალიზაციას და სხვა გარიგებებს კონტრაჰენტებთან რომელიც ხელს უწყობს ფინანსური აქტივების წარმოშობას/ზრდას.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში, ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი კლასის მიხედვით შემდეგია:

| | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 65,888 | 1,336,540 |
| გაცემული სესხები | 4,706,514 | 2,042,373 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 15,941,191 | 14,287,083 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **20,713,593** | **17,665,996** |

უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. ჯგუფის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

ჯგუფის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს ჯგუფის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული, აგრეთვე აშშ დოლარში დენომინირებული გასესხებული და ნასესხები თანხებიდან.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

*( ქართულ ლარში )*

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც ჯგუფს სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით:

| | აქტივები 31 დეკემბერი 2021 | პასივები 31 დეკემბერი 2021 | აქტივები 31 დეკემბერი 2020 | პასივები 31 დეკემბერი 2020 |
|---|---|---|---|---|
| USD | 7,586,275 | 17,467,408 | 2,827,268 | 9,360,989 |
| EUR | 9,062,972 | 10,849,744 | 10,129,610 | 13,489,459 |
| TRY | - | 39,997 | 6,585 | 75,017 |
| **ჯამი** | **16,649,247** | **28,357,149** | **12,963,463** | **22,925,465** |

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს ჯგუფის მგრძნობელობას 20%-იან ზრდაზე და შემცირებას ლარში დოლართან მიმართებით. 20% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე" მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილებით. დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ:

| | გავლენა აქტივის | | გავლენა პასივის | |
|---|---|---|---|---|
| | 20%-იანი ზრდა | 20%-იანი კლება | 20%-იანი ზრდა | 20%-იანი კლება |
| მოგება/(ზარალი) 2020 | 2,592,693 | (2,592,693) | 4,585,093 | (4,585,093) |
| მოგება/(ზარალი) 2021 | 3,329,849 | (3,329,849) | 5,671,430 | (5,671,430) |

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება, ჯგუფის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას. ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს ჯგუფის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც ჯგუფს მოეთხოვება გადახდა.

| | | |
|---|---|---|
| **ფინანსური ვალდებულებები** | | |
| მიღებული სესხები | 27,478,460 | 22,097,897 |
| ვალდებულებები | 10,983,289 | 10,421,591 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **38,461,749** | **32,519,488** |

## 20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთები და ოპერაციები ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს.

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან, ხოლო სხვა დაკავშირებული მხარეები კომპანიებისაგან, რომლებშიც ფლობენ წილებს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები, ან იკავებენ მმართველობით პოზიციებს.

| 2021 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | უმაღლესი ხელმძღვანელობა | სხვა დაკავშირებული მხარეები |
|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | 143,521 | 5,232,110 |
| მისაღები პროცენტები | | 361,712 |
| სასესხო მოთხოვნები | | 4,344,801 |
| სავაჭრო ვალდებულებები | 7,500 | |
| მიღებული ავანსი | | |
| მიღებული სესხები | 1,730,645 | |
| გადასახდელი პროცენტები | 593,921 | |
| **სრული შემოსავლის ანგარიშგება** | | |
| შემოსავალი რეალიზაციიდან | 144,616 | 3,710,882 |
| საქონლის შეძენა/მომსახურების მიღება | | 208,711 |
| საპროცენტო შემოსავალი | | 315,340 |
| საპროცენტო ხარჯი | 148,633 | 1,414 |
| დივიდენდის განაწილება | 1,105,263 | |

| 2020 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | უმაღლესი ხელმძღვანელობა | სხვა დაკავშირებული მხარეები |
|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | | 1,758,381 |
| მისაღები პროცენტები | | 46,373 |
| სასესხო მოთხოვნები | | 1,996,000 |
| სავაჭრო ვალდებულებები | 23,000 | |
| მიღებული სესხები | 1,982,824 | |
| გადასახდელი პროცენტები | 504,550 | |
| **სრული შემოსავლის ანგარიშგება** | | |
| შემოსავალი რეალიზაციიდან | | 2,362,484 |
| საქონლის შეძენა/მომსახურების მიღება | | 183,762 |
| საპროცენტო შემოსავალი | 197,310 | 46,373 |
| საპროცენტო ხარჯი | 35,115 | |
| დივიდენდის განაწილება | 2,945,263 | |

| | | |
|---|---|---|
| **უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა** | **731,703** | **686,860** |

ჯგუფის ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან ძირითადად საერთო დამფუძნებლის მქონე კომპანიებზე გაცემული სესხები წარმოადგენს (შენიშვნა 16).

## 21. გუდვილი

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

ხელმძღვანელობა გუდვილის გაუფასურების ტესტირებას ატარებს ყოველწლიურად. გუდვილი მიკუთვნებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისთვის, მათ შორის ახლად შექმნილი ერთეულებისთვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სინერგიით და წარმოადგენს ჯგუფის ყველაზე დაბალ დონეს, რომელზეც ხელმძღვანელობა აკონტროლებს გუდვილს.

გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს დეტალურ ხუთწლიან საპროგნოზო პერიოდს და ასევე ეყრდნობა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ექსტრაპოლაციას დარჩენილი პერიოდში, რომელიც გაანგარიშებულია ხელმძღვანელობის მიერ დადგენილ ზრდის ტემპზე. გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 271,034 ლარს (2020 -271,034). 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობამ გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისთვის მომავალი ფულადი ნაკადები და შესაბამისი დაშვებები განსაზღვრა, აქტივთა ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება დათვლილია შესაბამისი განაკვეთით, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას და აქტივთან დაკავშირებულ რისკებს.

ფულადი ნაკადების მოძრაობასთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებები და მგრძნობელობის ანალიზი

ხელმძღვანელობის მთავარი მისია მოიცავს სტაბილური საოპერაციო მოგების მარჟის შენარჩუნებას, რაც დაფუძნებულია წინა წლების გამოცდილებაზე სამომავლო პერიოდის პროგნოზებზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს საუკეთესო შესაძლო მიდგომაა პროგნოზების გასაკეთებლად.

აქტივთა ჯგუფის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებული ძირითადი დაშვებები უკავშირდება: ა) საოპერაციო მარჟას, ბ) დისკონტის განაკვეთს და გ) ზრდის ტემპს. გამომდინარე აქედან, აღნიშნული დაშვებების მცირედი ცვლილება არსებით გავლენას ახდენს ანაზღაურებად ღირებულებაზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილები გვიჩვენებს 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ ძირითად დაშვებებს, დაშვებების მიმართ სენსიტიურობის ანალიზს და მათ ისეთ ცვლილებას, რომელიც განაპირობებს ანაზღაურებადი ღირებულების ტოლობას საბალანსო ღირებულებასთან:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| ძირითადი დაშვებები | | ა) +0.4% | ა) -0.4% | საბალანსო ღირებულება უტოლდება |
|---|---|---|---|---|
| | | ბ) გ) +1% | ბ) გ) -1% | ანაზღაურებად ღირებულებას თუ |
| ა) საოპერაციო მარჟა | 3.09% | 19,185 | (19,185) | მცირდება 3.99%-დან 3.05%-მდე |
| ბ) დისკონტის განაკვეთი | 12.68% | (9,250) | 9,530 | იზრდება 12.68%-დან 13.5%-მდე |
| გ) ზრდის ტემპი | 3.2% | 6,343 | (5,582) | მცირდება 3.2%-დან (0.8)%-მდე |

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| ძირითადი დაშვებები | | ა) +0.3% | ა) -0.3% | საბალანსო ღირებულება უტოლდება |
|---|---|---|---|---|
| | | ბ) გ) +1% | ბ) გ) -1% | ანაზღაურებად ღირებულებას თუ |
| ა) საოპერაციო მარჟა | 2.99% | 18,665 | (18,665) | მცირდება 2.99%-დან 2.81%-მდე |
| ბ) დისკონტის განაკვეთი | 11.78% | (8,810) | 10,497 | იზრდება 11.78%-დან 13.1%-მდე |
| გ) ზრდის ტემპი | 2.2% | 5,323 | (4,742) | მცირდება 2.2%-დან (0.35)%-მდე |

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

ა) საოპერაციო მარჟა - ფულადი ნაკადების პროგნოზი ასახავს სტაბილურ მოგების მარჟას, რომელიც გათვალისწინებულია ფორმალურ ბიუჯეტში. ხელმძღვანელობის შეფასებით მოსალოდნელია ეფექტურობის გაუმჯობესება და დაგეგმილი საოპერაციო მარჟა განსხვავდება ჯგუფის 2021 და 2020 წლის ფაქტიური მარჟიდან 2.7 % და 1.83%.

ბ) ზრდის განაკვეთი - ზრდის განაკვეთი ასახავს გრძელვადიან საშუალო ზრდის განაკვეთს პროდუქციის ხაზისთვის და ჯგუფის საქმიანობის სფეროსთვის. ხელმძღვანელობა გრძელვადიანი ზრდის ტემპის შეფასებისთვის იყენებს დოლარის გრძელვადიან ინფლაციის მაჩვენებელს.

გ) დისკონტირების განაკვეთი - დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებას (WACC), რომელიც ითვალისწინებს საბაზრო რისკისა და ჯგუფისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკების შესაბამის კორექტირებებს.

ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან გარკვეულ კორელაციური კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის. მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოთეზური დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს ჯგუფის მოსაზრებას შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

## 22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

***რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი.*** 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთ-უკრაინის საზღვართან დაჯგუფების შემდეგ რუსულმა სამხედრო ძალებმა გადაჭრეს საზღვარი. ხსენებული კონფლიქტი წარმოადგენს უდიდეს სამხედრო შეტაკებას ევროპის სახელმწიფოში მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ. ამ მოვლენამ გამოიწვია ლტოლვილების კრიზისი ევროპაში, რადგან ომის დაწყების შემდეგ მილიონობით უკრაინელმა დატოვა თავისი სამშობლო. უკრაინასთან ომის გამო ბევრმა წამყვანმა სახელმწიფომ და ეკონომიკურმა კავშირმა მწვავე ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს და აღინიშნა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებით, აგრეთვე დაეცა ფასი მნიშვნელოვნად ფასიან ქაღალდებზე რუსულ ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებულ რუსული კომპანიების შემთხვევაში. ბევრმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან ბელარუსში გადაიტანა. სიტუაცია კვლავ რთულია. მან უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთში და დანარჩენ მსოფლიოში.

კომპანია უკრაინაში არსებულ კონფლიქტს მიიჩნევს არაკორექტირებად მოვლენად, რომელიც ბალანსის შედგენის შემდგომ მიმდინარეობს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მას არ ექნება საგრძნობი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

რადგან კონფლიქტი გრძელდება, ძნელია იმ სრული გავლენის შეფასება, რომელიც მას შესაძლოა ქონდეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია მისი გავლენა ეკონომიკაზე ზოგადად. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ სიტუაციას არსებულ გარემოში.

## 23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 1 ოქტომბერს

**ხელმძღვანელობის სახელით:**

**მალხაზ დუმბაძე**
**დირექტორი**

**ბესიკ დავითაძე**
**მთ. ბუღალტერი**

2022 წლის 1 ოქტომბერი
ბათუმი, საქართველო

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გზა“

## მმართველობის ანგარიშგება

(2021 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის)

საქართველო, ქ. ბათუმი

2022 წელი

# 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება

შპს „გზა“ (ს/ნ 245525132) დაფუძნდა 2005 წლის 3 თებერვალს. კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია გიორგი ჭყონია. შპს „გზა“-ს იურიდიული მისამართია - ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ., №51, ბინა 1. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგზაო, სამშენებლო, წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო ქსელის სამშენებლო საქმიანობა. კომპანიას ხელვაჩაურის სამრეწველო ზონაში საკუთრებაში გააჩნია ორი სამეურნეო ეზო (სულ 8 ჰა-მდე) სადაც განთავსებულია ორი ქვის სამტვრევი დანადგარი, ორი ბეტონის ქარხანა, ასფალტის ქარხანა, ფილებისა და ბორდიურების დამამზადებელი საწარმოო ხაზი და სხვა. ასევე 140 ერთეულზე მეტი მუშა მდგომარეობაში მყოფი საწარმოო ტექნიკა (ასფალტის დასაგები მანქანები, ბეტონ ამრევები, ამწე - კრანები, თვითმცლელები, ტრაქტორები და ა.შ).

კომპანიის საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

1. გზების და ხიდების მშენებლობა.
2. წყლისა და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა.
3. სამოქალაქო დანიშნულების შენობების მშენებლობა.
4. აეროპორტის მშენებლობა.
5. ასფალტის წარმოება.
6. ბეტონის და ბეტონის ნაკეთობების წარმოება.
7. ფილებისა და ბორდიურების წარმოება.
8. ქვიშა-ხრეშის მოპოვება და გადამუშავება.
9. სამშენებლო მასალების რეალიზაცია.
10. მანქანა-მექანიზმებით მომსახურება.

კომპანიამ პირველი დიდი პროექტი განახორციელა 2006-2007 წლებში, როდესაც შპს „ტავ ურბან ჯორჯიას“ დაკვეთით შეასრულა ბათუმის აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკისა და სადგომის რეაბილიტაცია.

2009-2010 წლებში შპს „ბაუერ ჯორჯიას“ დაკვეთით განახორციელა დღევანდელი სასტუმრო ჰილტონის საძირკვლის მოწყობა (ბეტონის მიწოდება და შესრულება).

2010-2011 წლებში კომპანიამ განახორციელა ადლიის საბაჟო ტერმინალის (გეზ-ი), აეროპორტის ახალი გზისა და სს „ავრაზია ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული ავტოსადგურისა და ტერმინალის მშენებლობა.

შპს „ბათუმი ცენტრალის“ დაკვეთით დასრულდა ბათუმის ახალი რკინიგზის სადგურისა და ბიზნეს ცენტრის მშენებლობა. რომელშიც 2019 წლის 6 მაისს შეისყიდა 55%-იანი წილი.

2015 წლიდან დღემდე კომპანია ახორციელებს ქალაქ ბათუმში წყლისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციას გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) დაფინანსებით.

დაარსებიდან მოყოლებული შპს "გზა" წარმატებით და მაქსიმალურად სწრაფად ახორციელებს ყველა სახის სამშენებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტს. ქვეყნის წამყვან კომპანიებთან ერთად შპს "გზა"-მ არაერთ ძვირადღირებულ პროექტს შეასხა ხორცი. ბათუმსა და ქობულეთში განლაგებული ოფისები დაკომპლექტებულია ენერგიული და აქტიური მაღალკვალიფიციური ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალით, რომელიც ადვილად ართმევს თავს ყველა სახისა და მასშტაბის სამშენებლო პროექტს. ამასთან, საქმიანობის სფეროში

მომსახურების ხარისხისა და “ნოუ-ჰაუ”-ს ამაღლების მიზნით მუდმივად თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან კომპანიებთან. შპს. “გზა”-ს აქვს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი პარკი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ის არის ლიდერი ასფალტის, სანიაღვრე და საკანალიზაციო ჭებისა წარმოებაში, საგზაო, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობის, ასევე სამოქალაქო მშენებლობასა და რემონტში. ასევე ვართ ჩვენი რეგიონით დაინტერესებული ნებისმიერი უცხოური კომპანიის გამორჩეული პარტნიორი.

2021 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 26 154 777 ლარს შეადგენს, რაც წინა წლის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივების ღირებულება შეადგენს 63,308,143 ლარს ხოლო საკუთარი კაპიტალი 24,398,469 ლარიდან - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდილია - 28,992,873 ლარამდე.

მიმდინარე წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას იმისას, რომ, ხელსაყრელ გარემოებებში, მომავალში საზოგადოება შესძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, საზოგადოებას განზრახული აქვს გააგრძელოს მუშაობა ტექნიკის განახლებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, დამკვეთების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

შპს ”გზა” ისწრაფვის იყოს ლიდერი კონკრეტულ ბაზარზე, სრულად დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნილებები და ამით გაამართლოს მასზე დამყარებული ნდობა. ჩვენი პოლიტიკა ხარისხის სფეროში მიმართულია დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისად სამშენებლო სამუშაოების, რესურსების და პროცესების მუდმივი გაუმჯობესებისა და სრულყოფისაკენ, რათა ავამაღლოთ მომხმარებლის კმაყოფილების დონე.

შპს გზა პერმანენტულად აცნობს კომპანიაში დასაქმებულ პერსონალს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ მასალებს მუდმივი ეკოლოგიური კონტროლის სისტემის უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო და საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, თანამშრომლობს ყველა საზოგადოებრივ სექტორთან გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირების მიზნით. კომპანიის ძირითადი პრინციპია ენერგიის ყაირათიანი ხარჯვა, ბუნებრივი რესურსის სწორი მოხმარება, საწარმოო ნარჩენების შემცირება, მათი გადამუშავება და ხელახალი გამოყენება ეროვნული ეკონომიკის ინტერესთა დაცვის მიზნით. ეს კი თავის მხრივ გულისხმობს ტექნოლოგიის – ეკონომიკის – ეკოლოგიის ინტეგრაციას.



კომპანია იცავს ყველა არსებულ წესსა და კანონს კომპანიის ყველაზე ძვირფასი რესურსის - თანამშრომლების შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ყოველ ღონეს ხმარობს უბედურ შემთხვევათა მინიმუმამდე დასაყვანად და შესაბამისად შრომითი ეფექტურობის, ხარისხისა და ნაყოფიერების ასამაღლებლად. მომსახურე პერსონალს უზრუნველყოფს სათანადო ინფორმაციით აღნიშნულ სფეროში თანამდებობრივ პასუხიმგებლობებთან დაკავშირებით, შესაბამისი ტრენინგების მოწყობის გზით. ხელმძღვანელობს სლოგანით " არცერთი უბედური შემთხვევა" და ყოველ ღონეს ხმარობს პერსონალის შესაძლო რისკის თავიდან ასაცილებლად, რისთვისაც უზრუნველყოფს ჯანმრთელ და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უკლებლივ ყველა თანამშრომლისათვის. შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად ყოველწლიურად დაისახავს ახალ მიზნებს და შეიმუშავებს ახალ გეგმებს.

პერსონალის თითოეული წევრის კომპეტენტურობა განისაზღვრება პროფესიონალური მომზადების, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დონით. შრომისუნარიანობის შეფასების შემდეგ ისახება მუშაკთა შესაძლებლობათა ზრდის გეგმა. ხოლო მათი პროფესიული დონის ამაღლების მიზნით, ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიები რეგულარულად აწყობენ სხვადასხვა სახის ტრეინინგებს მენეჯერების, ინჟინრების, ოსტატებისა და ოპერატორებისათვის. სამუშაო ობიექტზე შპს. “გზა” იღებს ყველა საჭირო ზომას რათა უზრუნველყოს შრომის ჰიგიენა და უსაფრთხოება, თავიდან აიცილოს შესაძლო ზარალი და/ან რისკი, უბედური შემთხვევები და პროფესიონალური დაავადებანი, რაც მუდმივად თან ახლავს სამშენებლო საქმიანობას. თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად და შესაძლო უბედური შემთხვევების აღმოსაფხვრელად ტარდება ტრეინინგები ისეთ თემებზე, როგორიცაა დამცავი-სამაშველო აღჭურვილობა, პირველადი დახმარება, უსაფრთხოების ნიშნები, ავარიული სიტუაციები, ფეთქებად ნივთიერებებთან მუშაობა და სხვა. თანამშრომელთა ნორმალური ფიზიკური და ფსიქიური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად ეწყობა სხვადასხვა სპორტული და საზოგადოებრივი ღონისძიებები. ტრეინინგების გავლის საშუალება ეძლევათ უნივერსიტეტის სტუდენტებსაც, ხოლო მათ შორის წარმატებულნი ჯილდოვდებიან ადგილობრივი და საერთაშორისო სტიპენდიებით. შესაბამისი ტრეინინგის გავლის შემდეგ მონაწილეები პრაქტიკაში იყენებენ შეძენილ უნარ-ჩვევებს

წარმატებები, რომელიც მიღწეულია საწარმოში ერთად მომუშავე გამოცდილი პროფესიული კადრების დამსახურებაა, თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განახლებისთვის გადავდგით ნაბიჯი ახალგაზრდებთან მიმართებაში, რომლებიც უკვე წლებია ჩვენთან ერთად საქმიანობენ და თეორიულ ცოდნასთან ერთად იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას.

## საზოგადოების მართვა/საზოგადოების კრება

საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას პარტნიორთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

## საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი. საზოგადოების დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით 2006 წლის 7 მარტის პარტნიორთა კრების ოქმით დირექტორად არჩეულ იქნა მალხაზ დუმბაძე დაბადებული 25.08.1967, საქართველოს მოქალაქე.

## მართვის სტრუქტურა

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული

ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

დირექტორი საზოგადოების მართვას ახორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით.




## საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავის დროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- სატრანსპორტო საშუალებების პარკის განახლება;

<u>მიმდინარე გეგმები:</u>

- საზოგადოება გეგმავს მონაწილეობა მიიღოს აჭარის რეგიონში განსახორციელებელ რამდენიმე პროექტში

<u>განვითარების რესურსები:</u>

- გაგვაჩნია საკმარისი ტექნიკა საგზაო-სამშენებლო სამუშაოებისათვის.
- გვაქვს ძირითადი მასალების საკმაოდ დიდი მარაგი.
- 
- წარმოებაში ვიყენებთ ინოვაციურ მეთოდებს.

სამუშაოებისთვის საჭირო ყველა ნაკეთობას ვამზადებთ საკუთარ ბაზაზე.

საწარმო საქმიანობის მაღალხარისხოვნად შესრულებისთვის სისტემატიურად ახორციელებს ინვესტიციებს მანქანა-მექანიზმების შესაძენად. დღევანდელი მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მექანიზმები.

<u>მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადაიარაღების მიზნით, კერძოდ:</u>

- განახლდა ასფალტო/ბეტონის ქარხანა.
- განახლდა ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი სისტემა.
- სრულად განახლდა ასფალტის დამგები მანქანა.
- შეძენილი იქნა რამდენიმე ერთეული ექსკავატორი და ტრაქტორი.
- გაახლდა ავტოპარკი.
-

## სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს ადამიანურ რესურსების მართვის სამსახური.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიდა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავის ანაზღაურება. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას.

საწარმოს თანამშრომლებისთვის გვაქვს კორპორაციული დაზღვევა. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. კომპანიის მიზანი საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა.

საზოგადოება ითვალისწინებს, რომ ახალგაზრდობა წარმოადგენენ ქვეყნის სამუშაო ძალის სოლიდურ ნაწილს და ქვეყნის მომავალს, რომელთა სასტარტო სამუშაო პირობებზე დიდწილადაც დამოკიდებული მათი შემდგომი გან-ვითარება და კვალიფიციურ პროფესიონალებად ჩამოყალიბება. ზრუნავს ახალგაზრდა თაობის დასაქმებაზე, აცხადებს ვაკანსიებს, ორ თვიანი სტაჟირების და გამოსაცდელი ვადის შემდეგ კი ხდება ახალგაზრდა კადრების შტატში აყვანა.

შპს „გზა“ მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

### გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლისა და თვით მონიტორინგს.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე.

## მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 1 ოქტომბერი.

**დირექტორი: მალხაზ დუმბაძე**

ტელ: (+995)595223993